

ვახტანგ ჭავჭავაძე



ნუნუ ჭიოშვილი-სახვაძის

**ცხოვრების
საფასურები**

წიგნი გამოიცა
ქალბატონ ნუნუ ჯიოშვილი—სახვაძის
85 წლის ოებილესთან
დაკავშირებით

რედაქტორი: დარეჯან ჭანკოტაძე
კორექტორი: დოდო გოცირიძე
კომპიუტერული მომსახურება: შალვა მურადაშვილი

ՇՈՆԱՏԵՋԱ

մոմահինօա, րոմ սայարտվելով ქալեծո նարմոռագցենց գանսակցութրեծուլ զյենոմենս, րոմը լմաց նարմագութեծոտ գաարտվա տազո սամրազ քեռուրբենիս սյուլ սունելյու և ատասցարո կագուլութմեծոտ դաեցնծլուլո իսգորուլո լածորունուեծո ամապո մթերոտա և տացաննուրուլո ծրծոլուեծոտ գամոօարա.

մսոցլու իսգորուա շեմոնակցուլո այվա սյուգությու և այմշցենուրուսո կալեծու մրազլու մեթյուվելո իսգորուա, սագաց գանսակցութրեծուլո աֆցուլո սյազուատ սայարտվելով կալեծս. մարդու մեցուաս, տամարուսա և կյութուանու սակցուեծո ոկմարեծու սամուսու, րոմ կարտվելունա կուսերմուլուրեծուլու և սուամապու ալսացսեմ տամամագ ցադաեցու մսոցլու սայալուտս.

և մանց, րամո մցցոմարեուն սայարտվելով կալեծու իսգորուլո ալսարեծո, րա գանապուրունուն մատ ունոմենալուրունուն և մատդամո սյուգությու պագուսուցումա՞!.

իցմէ շեեցուլուն մոյլո համոնատվալու գամուխա- թաց: ցարեցնուլո մոմենծուլու եասուատու մթյուցու ցամուսակցու մերուեծո, երունուլո գորագուցուեծու մորիուլուն և ալուրդուսագմո ցանսակցութրեծուլո դամոյուցուլուն, նոնապուն պագուսուցումա, սգումարտմուցարեուն,

სამშობლოს დასაცავად სულიერი და ფიზიკური მზად-
ყოფნა და ა.შ.

კაცობრიობის არსებობის მრავალი საუკუნის განმავ-
ლობაში ქალები და, მათ შორის, საქართველოს ქალები
მუდმივად იყვნენ, არიან და, იმედი მაქვს, მომავალშიც
იქნებიან პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოების
ყურადღების ცენტრში.

ისინი მუდმივად წარმოადგენდნენ და დღესაც წარ-
მოადგენენ შემოქმედ ადამიანთა შთაგონების წყაროს.
მათ მიეძღვნა მრავალი ათასი ისტორიული რომანი,
მხატვრული ფილმი, ქანდაკება, ძეგლი, ფერწერული
ტილო, ოპერა, ლექსი, სიმღერა და ა.შ.

მე ვფიქრობ, რომ ქალებისადმი თაყვანისცემისა და
პატივისცემის გამოხატვის კუთხით ქართული ფოლკ-
ლორი განსაკუთრებით პროდუქტიული და მრავალ-
ფეროვანია, რაც მუდმივად გვამყოფებს სიამაყის განც-
დის არეალში და, შეიძლება ითქვას, მეტად მიმზიდველ
და სასიამოვნო ატმოსფეროში.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ქვეყნის საყო-
ველთაო შეჭირვების ჟამს საქართველოს ქალებს არა-
ერთხელ გამოუჩენიათ უდიდესი თავგანწირულობა და
შემართება ყოველგვარი ნებატიურის წინააღმდეგ.

ძალიან ხმოვანი, წარსულში ღრმადჩანაწელი ფესვე-
ბით და უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის სიტყვა
გვაქვს ქართველებს – **უღელი** და მისგან გამომდინარე
– **მეუღლე**.

სახელმწიფო ოჯახებისგან შედგებაო – უთქვამთ. ოჯახი კი ერთი პატარა უჯრედია სახელმწიფოშიო – ესეც უთქვამთ. ისიც კარგად ვიცით, რომ ოჯახი, საბოლოო ჯამში, უღელდადგმული წყვილის ასპარეზია, წყვილისა, რომელიც მუდამ გარჯაში და ბრძოლაშია, რათა უკეთესი მომავალი შეუქმნას თავის მონაგარს.

ნუ ვისაუბრებთ წყვილთაგან რომელიმეს როლის მეტ-ნაკლებობაზე. იმაზე საუბარს კი ნამდვილად აქვს დიდი მნიშვნელობა, თუ საქართველოს ქალებს, ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში, როგორ მოემატათ უღლის სიმძიმე, როგორ დასჭირდათ უკანასკნელი ძალების მოკრება, როგორ „იშიშვლეს ხმლები“ და მამაკაცებთან ერთად როგორ აღუდგნენ წინ ცხოვრების მიერ თავსმოხვეულ უკულმართობებს, ძალადობას, უსამართლობას და ეკონომიკურ სიდუხჭირეს.

ბედნიერად ვთვლი თავს, რომ მომეცა საშუალება დამენერა მონოგრაფიული ხასიათის მცირე მოცულობის წიგნი გორელი მანდილოსნის შესახებ, იმ ქალბატონის შესახებ, რომელსაც კარგად იცნობს საზოგადოების ფართო ფენა და რომელიც მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლით ემსახურება თავის ქვეყანას, ხალხს, ქალაქს და ოჯახს. წიგნი ეძღვნება ღირსეულ ქალბატონს ნუნუ ჯიოშვილ-სახვაძეს, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა: მომავალი თაობების აღზრდაში, საზოგადოების განვითარება-გამტკიცებაში, შრომისა და სწავლის აუცილებლობის პროპაგანდაში,

საკუთარი მაგალითებით სიკეთისა და ერთგულების და რაც ყველაზე მთავარია – თავმდაბლობისა და უანგა-რობის დემონსტრირებაში.

ქალბატონ ნუნუ სახვაძეს იცნობს უამრავი ადამიანი და პატივს სცემს მას, მართლაც რომ, გამორჩეული შრომისმოყვარეობისა და კეთილშობილებისათვის, რაც ათეული წლების განმავლობაში გროვდებოდა სათითაო აგურებად იმ დიდი და მტკიცე საძირკვლიანი სახლის ასაშენებლად, რასაც ქართული საზოგადოება ჰქვია. მან, ქალბატონმა ნუნუმ, თავისი წვლილი დუღაბი ჩაასხა ამ საძირკველში.

წინამდებარე წიგნში მოკრძალებულად არის წარმოჩინებული მშვენიერი ქალბატონის საინტერესო ცხოვრებისეული გზა და მისი ღვაწლი საზოგადოების წინაშე.

ქალბატონი ნუნუ, მისთვის ჩვეული ენერგიითა და შემართებით, თავის ლამაზ ოჯახთან ერთად, განაგრძობს აქტიურ ცხოვრებას და პროდუქტიულ შემოქმედებას ქვეყნისა და ხალხის საუკეთესო მომავლისათვის.

ლმერთი გფარავდეთ, ქალბატონო ნუნუ!

ავტორი

„გაზაფხულის“ წინ

ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბებაზე უდიდეს გავლენას ახდენს ის დრო და გარემო, როდესაც და როგორშიც იბადება იგი.

ნუნუ ივანეს ასული ჯიოშვილი დაიბადა 1934 წლის 10 თებერვალს დიდი და მნიშვნელოვანი ისტორიის მქონე ქალაქ გორში, ვანო (ივანე) ნიკოლოზის ძე ჯიოშვილისა და ანა აბრამის ასულ გაბინაშვილის ოჯახში.

ეს ის დრო იყო, როდესაც ქვეყნიერებას ჯერ კიდევ ბოლომდე არ მოეშუშებინა პირველი მსოფლიო ომით მიყენებული ჭრილობები და ევროპაში უკვე მეორე მსოფლიო ომის „სუნი“ ტრიალებდა. გერმანიაში ძალაუფლება ხელთ ჩაიგდეს ფაშისტებმა და ნელ-ნელა ამოქმედდა საშინელების მომასწავებელი რეჟიმი.

ალნიშნული გარემოება უარყოფითად მოქმედებდა ახლადჩამოყალიბებული საბჭოთა კავშირის განვითარებაზე. სიძნელეები და პრობლემები იგრძნობოდა ყველა სფეროში და ყველა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც და, კერძოდ, გორშიც, მითუმეტეს, რომ ხუთიოდე წელინადში ევროპა გაეხვია ცეცხლის ალში.

ასეთ ძნელ პერიოდს დაემთხვა ქალბატონ ნუნუს ბავშვობა, მაგრამ მისი მშობლების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ არ მოუკლიათ ბავშვებისათვის ყურადღება და მზრუნველობა, რათა ისინი გაეზარდათ სანიმუშო და საამაყო მოქალაქეებად და რომ ქალბატონი ნუნუ მართლაც გვევლინება საინტერესო, დამსახურებულ და პატივსაცემ პიროვნებად. ამის შესახებ მოკლედ მოგიყვებით წინამდებარე პატარა წიგნში.



ნუნუს დედა ქალბატონი
ანა გაბინაშვილი



ნუნუს მამა ბატონი ვანო (ივანე)
ნიკოლოზის ძე ჯიოშვილი

ნუნუს მამა ვანო ჯიოშვილი დაიბადა 1906 წელს გორის რაიონის სოფელ ზემო სობისში, ხოლო დედა ანა გაბინაშვილი 1907 წელს იგივე, გორის რაიონის სოფელ უფლისციხეში.

საოცარი ბედი დაჲყვა მომავალ მეუღლეებს – მცირენლოვანები დაობლდნენ და მშობლების ჯეროვანი ყურადღებისა და მზრუნველობის დეფიციტის პირობებში შეუდგნენ ცხოვრების უძნელეს საფეხურებზე ასვლას (ქალბატონი ანა იზრდებოდა თავის დასთან, ხოლო ბატონი ვანო გორში ერთ-ერთ ნათესავთან).

დრო სწრაფად გადიოდა. ერთმანათისგან დაშორებულები იზრდებოდნენ, იმაგრებდნენ ფრთებს და „ვარდისფერი სათვალის“ ლინზებიდან აღარ უცქერდნენ სამყაროს.

სალი გონებითა და დაკვირვებული მზერით აკვირდებოდნენ რეალურ ცხოვრებას. ამჯერად ბედმა ისინი შეახვედრა ერთმანეთს. შეახვედრა და გაჩნდა ურთიერთმოწონება, ერთმანეთის ხშირი ნახვის სურვილი, რაც საბოლოოდ გადაიზარდა სიყვარულში და მყუდრო და შრომისმოყვარეოვანის შექმნაში.

ვანო (ივანე) ჯიოშვილი გამოირჩეოდა სიცოცხლისუნარიანობითა და აქტიურობით. მოკლე დროში შესძლო შეუძლებელი და გორში, დღევანდელი ჭავჭავაძისა და გორკის ქუჩების გადაკვეთაზე შეიძინა მიწის ნაკვეთი და ააშენა



ნუნუს ძმა გოგი ჯიოშვილი, მისი მეუღლე თინა კეთილაძე და შვილი ამირანი

სახლი. გაჩნდა ახალი საოჯახო კერა და ჭერი, სადაც ტკბილად ცხოვ რობდა შესანიშნავი წყვილი (საკუთარი სახლის აშენებამდე ანა და ვანო ცხოვრობდნენ ნუნუს დეიდის სახლში).

1930 წლის 4 მარტს ოჯახში გაჩნდა ვაჟიშვილი გოგი, ხოლო 1934 წლის 10 თებერვალს ამ წიგნის მთავარი გმირი ქალბატონი ნუნუ.

დღეს, როდესაც ქალბატონი ნუნუ გახლავთ ბებია და მოუთმენლად ელის დიდ ბებიობას, თვალებზე მომდგარი სიხარულისა და სიამაყის განცდით იგონებს: „...ობლად გაზრდილი მამაჩემისათვის ცხოვრების არსი მდგომარეობდა შრომის სიყვარულში, ოჯახურ სითბოში, კეთილსინდისიერებასა და სტუმართმოყვარეობაში. ოჯახი იყო მისი სალოცავი ხატი. დღედაღამ შრომობდა, რომ არაფერი მოგვკლებოდა...“

წიგნზე მუშაობის დაწყების წინ რამდენჯერმე შევხვდი და ვესაუბრე ქალბატონ ნუნუს. აქვე ვიტყვი, რომ იგი არის საოცრად ტკბილადმოსაუბრე ადამიანი, მისი ყოველი სიტყვა სითბოს მომგვრელია და, რაც ყველაზე მთავარია, გხიბლავს მისი ცხოვრებისეული უმდიდრესი გამოცდილება. მისი სურვილი იყო, რომ წიგნი დამეწერა ოთხ ნაწილად და პირობითად დამელაგებინა წელიწადის სეზონების მსგავსად. ვასრულებ მის თხოვნას.

„გაზაფხული“

„...ბავშვობა ხომ მაინც არის ბავშვობა,
ვახერხებდი თამაშსაც და სიცილსაც,
ვესწრაფოდი გაზრდასა და ქალობას,
ვნატრულობდი საკუთარი სიტყვის თქმას...“

ნათესავებისა და ახლობლების გადმოცემით, ნუნუ ყოფილა საკმაოდ აქტიური, მხიარული და გონებამახვილი ბავშვი. თურმე, მშობლების ყოველ დავალებას ასრულებდა ხალისით და სიცილ-კისკისით. უბნის ბავშვებისგანაც გამორჩეული ყოფილა, როგორც საოცრად მოძრავი და ერთგული შემსრულებელი საბავშვო გართობათა სფეროში.

1937 წელს, 3 წლის ასაკში, ნუნუ მიიყვანეს ე.ნ. ელენე უორდანიას საბავშვო ბაღში, რომელიც მდებარეობდა გორში, დღევანდელი საკრებულოს შენობის ადგილზე (ქალბატონი ნუნუ საბავშვო ბაღის გამგეს მოიხსენიებს მომხიბვლელ და გამოპრანჭულ პიროვნებად). თითქმის ოთხი წელი გაატარა ნუნუმ საბავშვო ბაღში და 7 წლისა (მაშინ ამ ასაკში დებულობდნენ პირველ კლასში) მშობლებმა მიიყვანეს მე-6 საშუალო სკოლაში, რომელიც მდებარეობდა დღევანდელ სტალინის სახელობის მოედანზე განლაგებული 100-ბინიანი სახლის ადგილზე.

მე-4 კლასში იყო ნუნუ ჯიოშვილი, როდესაც გოგონები და ბიჭები ცალ-ცალკე გაამწესეს ე.ნ. ქალთა და ვაჟთა საშუალო სკოლებში. ნუნუ ჯიოშვილი მოხვდა მაშინდელ ლენინის (ახლა სამეფო) ქუჩაზე მდებარე ქალთა მე-3 საშუალო სკოლაში.

როგორც ყველა, ისე ქალბატონი ნუნუც რაღაცნაირი სევდანარევი სიტყვებით იხსენებს სკოლაში გატარებულ

ნლებს, პედაგოგებს, თანაკლასელებს და ეს ნოსტალგიური განწყობა უკავშირდება ერთის მხრივ ბავშვურ ინტერესს და ლალ და უმანქო წარმოდგენებს ყოველდღიურობაზე, მეორეს მხრივ კი იმ ადამიანების ხსოვნას, რომლებიც დღეს აღარ არიან ჩვენს შორის და რომლებთანაც მჭიდრო ურთიერთობაში აქვს გატარებული საუკეთესო ნლები.

არაერთხელ უთქვამს ქალბატონ ნუნუს, რომ სკოლის მერხზე გატარებული ნლები არის მისი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ეტაპი. პერიოდი, როდესაც ყალიბდება ადამიანის შინაგანი ბუნება, საძირკველი ეყრება მომავალი ცხოვრების პერიპეტიობს და ფორმირდება რეალისტური ურთიერთობები გარე სამყაროსთან. და ყოველივე ამის შემოქმედნი და სულის ჩამდგმელები იყვნენ ქალბატონი ნუნუს მიერ ხშირადმოხსენიებული პედაგოგები და უფროსი ასაკის მეგობრები.

იგონებს ქალბატონი ნუნუ: „...ძვირფასი და უკეთილშობილესი პედაგოგები მყავდა... თამარ ჩლაიძე, ბრწყინვალე ფილოლოგი; ის რომ გაკვეთილს ხსნიდა ან, ზოგადად, რაიმეს შესახებ საუბრობდა, ბუზის გაფრენის ხმას გაიგონებდით საკლასო ოთახში. ყველა ჩვენგანი ცდილობდა, რომ მისთვის მიგვებადა. ამ პედაგოგმა შემაყვარა ლიტერატურა. ნელ-ნელა გავანებე თავი ბავშვურ თამაშებს და გაკვეთილების მომზადების შემდეგ თითქმის მთელ დროს ვუთმონდი სხვადასხვა უანრის ნიგნების კითხვას. ქალბატონ თამარის დიდი დამსახურება გახლავთ, რომ ჩემს მომავალ პროფესიად სწორედ რომ ფილოლოგია ავირჩიე“.

ქალბატონი ნუნუ თავის უსაყვარლეს პედაგოგებს შორის უდიდესი მონიშებით მოიხსენიებს: ისტორიის ცნობილ მას-ნავლებელს ვალოდია (ვალიკო) ზექალაშვილს, გეოგრაფიის



**ნუნუ ჯიოშვილი (მარცხნივ) რუსული ენის მასწავლებელთან
გალინა ტალაშჩენკოსთან ერთად.**

უზადო მცოდნეს და დახვეწილ პედაგოგს ვალოდია დავი-
დოვს; მათემატიკის მასწავლებელს ევგენია გამსახურდიას
და სხვებს.

დიდი სიყვარულითა და თბილი სიტყვებით ახსენებს ქა-
ლბატონი ნუნუ ბავშვობის პერიოდში შეძენილ მეგობრებს,
რომელთა უმრავლესობასთან დღესაც აქვს შესაშური ურთ-
იერთობა. რომ იტყვიან – „ბავშვობიდან მოდიოდნენ და
მოდიან“: ლედი სუხიტაშვილი, ნანული აბუაშვილი, ციალა
ხოსრუაშვილი (ხსოვნა), ლამარა ბაზანდარაშვილი (ხსოვნა),
რუსუდან ძაბახიძე (ხსოვნა) და სხვები.

განსაკუთრებული სიყვარულით და ღრმა ემოციური
განწყობით ეხება ქალბატონი ნუნუ მის ერთ-ერთ ძვირფას

მეგობარს გალინა გიგოლაშვილს, რომელსაც ადრეული ბავშვობის პერიოდში გარდაეცვალა მშობლები, რაც ძალიან მტკიცნეულად განიცადა. ბავშვი თავის მძიმე და მწარე ხვედრს თავისებურად გამოეხმაურა, რაც იმაში გამოიხატა, რომ „შეიცვალა სახელი და სამუშაო რვეულებზე წააწერა „ობოლა გიგოლაშვილი“. მართლაც საოცრად ფაქიზი და გრძნობადია ბავშვის გული და შემეცნება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქალბატონი ნუნუს ბავშვობის წლები დაემთხვა მსოფლიოში მიმდინარე ფართომასმგაბიან საომარ მოქმედებებს, რამაც, ბუნებრივია, გარკვეული ნეგატიური გავლენა იქონია არამარტო მოზრდილ ადამიანებზე, არამედ ბავშვების აღზრდა-ჩამოყალიბების პროცესებზეც.



ნუნუ ჯიოშვილი (დგას ცენტრში) მეგობრებთან ერთად.



**მეგობრები (მარცხნიდან): ნურუ ჯილდოვილი, ვერიკო ჯაფარიძე,
მზია ბედოშვილი**

პროგრესულად მოაზროვნე ადამიანების უდიდესი უმრავ-ლესობა ჩართული იყო სამკვდრო-სასიცოცხლო ბატალი-ებში იმ მიზნით, რომ რაც შეიძლება სწრაფად მიეღწიათ საყოველთაო მშვიდობისათვის და შემდგომი განვითარების სასურველი ეტაპების დაწყებისათვის. ქვეყანაში გაიზარდა აგიტაცია-პროპაგანდის მასშტაბები. წინა პლანზე წამოი-ნია სამშობლოს სიყვარულმა, ბრძოლისუნარიანობის ამა-ღლებამ, რაინდულმა სულისკვეთებამ, ბელადისადმი სიყ-ვარულმა, ურთიერთდახმარებამ, შრომის გააქტიურების აუცილებლობამ და ა.შ.

სასკოლო ასაკის ბავშვებიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი მიმდინარე პროცესებში და „თავიანთი“ წვლილი შეჰქონდათ საერთო და საერო ისტორიულ საქმეში: წერდნენ და სხვა-დასხვა მასობრივ ღონისძიებებზე კითხულობდნენ ლექსებს,

მღეროდნენ პატრიოტულ სიმღერებს, მშობლებს ედგნენ მხარში საოჯახო საქმიანობის წარმართვაში, იღებდნენ მონაწილეობას ქალაქის მასშტაბის საერთო ღონისძიებებში და ა.შ.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ პატარა ნუნუს ძალიან უყვარდა წიგნების კითხვა: ერთ-ერთ საუბარში მან ისიც მითხრა, რომ წერდა და აქვეყნდებდა ლექსებს: „...სკოლაში სწავლის პერიოდში მიყვარდა ლექსების წერა. ვწერდი ჩემს საყვარელ ქალაქ გორზე, ურომლისოდაც სიცოცხლე და ცხოვრება ვერ წარმომედგინა. ვწერდი მშვიდობაზე, საყოველთაოდ აღიარებულ ბელადზე, მეგობრობაზე და ა.შ.“



განუყრელი მეგობრები ნუნუ (მარცხნივ) და
მზია ბედოშვილი.

1952 წელს ნუნუ ჯიოშვილმა პირველად მიიღო ქვეყნის მმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობა. წინა დღეებში მთელ ქალაქში დადიოდნენ აგიტაცია-პროპაგანდის სფეროს წარმომადგენლები და მშვიდობის აუცილებლობებზე ესაუბრებოდნენ ამომრჩევლებს. ნუნუ სიამოვნებით მიიღო მონაწილეობა საერთო ღონისძიებაში, ხელმოწერით დაასაბუთა თავისი მოსაზრება მშვიდობის აუცილებლობაზე მთელს მსოფლიოში. არჩევნების წინა-ლამე ფხიზლად გაატარა და პირველი მივიდა საარჩევნო უბანზე ბელადისათვის ხმის მისაცემად.

საარჩევნო უბანზე იმყოფებოდნენ გაზეთ „სტალინელის“ რედაქციის წარმომადგენლები, მათ შორის თინა რაზმაძეც, რომელმაც გაზეთში გამოაქვეყნა წერილი ნუნუს შესახებ და მისი ლექსიც. ნუნუ უზომოდ ბედნიერი იყო იმ დღეებში, მითუმეტეს, რომ სულ მალე იმავე გაზეთში დაბეჭდეს მისი კიდევ ერთი ლექსი მშობლიურ გორზე:

„...გორი, უბადლო არწივის მშობი,
გორი ყვავილი ჩემი ქვეყნისა,
გორი მსოფლიოს გადამრჩენელი,
გასცდა მწვერვალებს, ხალხს შეეთვისა...“

„კარგად მახსოვს, – იგონებს ქალბატონი ნუნუ, – რომ გაზეთ „სტალინელის“ რედაქციაში ყოველთვის მოუთმენ-ლად ელოდნენ ჩემს ლექსებს, ან ზოგადად, პუბლიცისტურ წერილებს ამათუმ საკითხზე. განსაკუთრებული ყურადღე-ბა მიიქცია საყოველთაო მშვიდობის შესახებ შექმნილმა მა-სალებმა. მიმაჩნდა და დღესაც საჭიროდ ვთვლი, შევახსენო საზოგადოებას, რომ კაცობრიობას შემდგომი განვითარება უწერია მხოლოდ მშვიდობის პირობებში. მშვიდობა უნდა სუფევდეს ყველგან: ჩვენს ოჯახებში, ჩვენს ქვეყანაში და

მთელ მსოფლიოში. ასეთ ატმოსფეროში უნდა იზრდებოდნენ ჩვენი თაობები.

დიდი მოწონება დაიმსახურა ნუნუს ლექსმა სახელწოდებით „ჩვენ მშვიდობა გვინდა“.

ქალბატონი ნუნუ დღესაც დიდი პატივისცემითა და სიყვარულით იხსენებს გაზეთის რედაქციის მუშაკებს, რომლებიც მხარში ედგნენ ახალაგზრდა გოგონას და ყოველმხრივ ცდილობდნენ და ეხმარებოდნენ მას, რათა მის მიერ წარმოდგენილი მასალები ყოფილიყო დახვეწილი და საინტერესო წასაკითხი მცითხველისთვის. ნუნუს განსაკუთრებით კარგი და მეგობრული ურთიერთობები ჩამოუყალიბდა ისეთ სტაჟიან და გამოცდილ უურნალისტებთან, როგორებიც იყვნენ შალვა ჩუბინიძე („სტალინელის“ რედაქტორი), შოთა მახარობლიძე, თინა რაზმაძე და სხვა.

გასული საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისიდან საოცრად პოპულარული გახდა და საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოქქცა ახალგაზრდა ნუნუ ჯიოშვილი, რომელსაც იწვევდნენ ფართომასშტაბიან შეკრებებზე და სხვა ღონისძიებებზე, სადაც იგი მიმზიდველად წარადგენდა ხოლმე თავის თავს, იქნებოდა ეს საკუთარი ლექსი, თუ საგანგებოდ მომზადებული სიტყვა.

ერთხელ, გორის გიორგი ერისთავის სახელმწიფო თეატრში გორის საზოგადოება შეხვედრას უწყობდა პოეზიის დიდოსტატს და ყველასათვის დიდად საყვარელ პოეტს იოსებ გრიშაშვილს. დაუვიწყარია ის საღამო ქალბატონი ნუნუსათვის მითუმეტეს, რომ იგი პირისპირ შეხვდა საყოველთაოდ აღიარებულ პოეტს და უფრო მეტიც – წაუკითხა საკუთარი ლექსი, რომელიც წინაღამით დაწერა. ნუნუ იგონებს იმ მართლაც რომ ზღაპრულ შეხვედრას და სიამაყ-



ძმისშვილ ამირანთან ერთად.

ით ამბობს: „....გრიშაშვილს ძალიან მოეწონა ჩემი ლექსი, გამომართვა, გადამკოცნა და მითხრა – შენგან საჩუქრად შევინახავო...“

ქალბატონი ნუნუს პიოგრაფიაში მრავლად იყო საინტერესო და მნიშვნელოვანი შეხვედრები როგორც პოპულარულ პიროვნებებთან, ისე მოძმე რესპუბლიკებისა თუ ქალაქების შრომით კოლექტივებთან და ასეთი შეხვედრები ყოველთვის მიმდინარეობდა საზეიმო ვითარებაში – მწერლების, პოეტების, თეატრალური კოლექტივებისა თუ მუსიკალური ჯგუფების მონაწილეობით, რაც უდაოდ ხელს უწყობდა ადამიანებს შორის მეგობრობის განმტკიცებას და ხალხთა შორის ურთიერთობების გამრავალფეროვნებას. 17-18 წლის გოგონა, ნუნუ ჯიოშვილი გახდა ასეთი შეხვედრების აქტი-

ური მონაწილე და სასურველი პიროვნება. სიამოვნებით და სიყვარულით უსმენდნენ მის ლექსებსა და „ტიკ-ტიკს“. ხშირად ასაჩუქრებდნენ გულწრფელი ტაშითა და ოვაციებით.

ნუნუს ცხოვრებაში ერთ-ერთი გამორჩეული და დასამახსოვრებელი მოვლენა გახლდათ ქ. გორის საზოგადოების საზეიმო და ისტორიული შეხვედრა ასევე ისტორიულ პიროვნებასთან, პოეტ იოსებ ნონეშვილთან. შეხვედრა შესდგა გორის სახელმწიფო დრამატულ თეატრში. მაყურებელთა დარბაზმა, აივნებმა, ლოუებმა და სკამებშორის გასავლელებმა ძლივს დაიტიეს მოზღვავებული მაყურებელი და მსმენელი. სიტყვით მიმსალმებელთა შორის იყო ნუნუ ჯიოშვილიც, რომელიც ნერვიულობდა ცნობილ პიროვნებასთან პირისპირ მოსალოდნელი შეხვედრის გამო და გონებაში, უკვე მერამდენედ, იმეორებდა წარმოსათქმელ ლექსს (დღესაც ძალიან უყვარს ქალბატონ ნუნუს ი. ნონეშვილის ლექსები და ბევრი მათგანი იცის ზეპირად). აღნიშნული შეხვედრის ფრაგმენტს მოვახსენებ მკითხველს თავად ქალბატონი ნუნუს მოგონებიდან:

„...გადაწყვეტილი მქონდა ზეპირად წამეკითხა სტუმრის ერთ-ერთი საუკეთესო და საოცრად პოპულარული ლექსი „მამავ, ძვირფასო“. მიუხედავად დიდი მონდომებისა, მღელვარებამ და უჩვეულო ნერვიულობამ თავისი გაიტანა და ერთ ადგილზე ლექსი დამავიწყდა, თუმცა ბოლომდე მაინც ვთქვი. მძიმე მდგომარეობიდან თავად იოსებ ნონეშვილმა გამომიყვანა – იგი მოვიდა ჩემთან, მომეფერე, შუბლზე მაკოცა და მითხრა: „არაუშავს, მაგ ადგილზე მეც მეშლება ეგ ლექსი და, ალბათ, ცვლილებას შევიტანო“. – დარბაზი შეარხია ტაშმა და ოვაციებმა. ის საღამო ჩემთვის მართლაც რომ ზღაპრული იყო“...

ქალბატონ ნუნუს კარგად ახსოვს მეორე მსოფლიო ომის წლები და ის სავალალო და მძიმე საყოფაცხოვრებო პირობები, რომელშიც უწევდა ცხოვრება ჩვენი ქვეყნის უმრავლესობას. როგორც ხატოვნად იტყვიან ხოლმე, იყო სიბნელე, სიცივე, შიმშილი და ფრონტებიდან მიღებული ტრაგიკული შინაარსის ტელეგრამები. ადამიანებს ეშინოდათ მაშინდელი ფოსტალიონების დანახვის, თუმცა, ქართველი მამაკაცების საგმირო საქმეებსაც იტყობინებოდნენ ხოლმე, რითაც იმედის ნაპერნკალს აღვივებდნენ ზურგში დარჩენილ ადამიანებში, რომელთა შორის დიდ უმრავლესობას ქალები წარმოადგენდნენ, უმეტესად დედები.

ქალბატონი ნუნუ თავად გახლავთ ვაჟიშვილების დედა და კარგად აქვს წარმოდგენილი, განსაკუთრებით ომის პირობებში, დედის განცდები და როლი მაშინ, როცა ერთის მხრივ ფიქრობ მათზე, ვინც ბრძოლების წინა ხაზზეა და მეორეს მხრივ, იღწვი სახლში დარჩენილთა გამოსაკვებად და ზოგჯერ გადასარჩენადაც კი.

საინტერესოა ქალბატონი ნუნუს მოსაზრება და შეხედულება საქართველოს დედებზე:

„...ჩვენი პლანეტის ხალხების არცერთ ენაზე არ არსებობს სიტყვა დედა ისეთი ლამაზი და შინაარსიანი, როგორც ეს ქართულ ენაშია. **დედა** არის სამყაროსი მთლიანობაში და სიცოცხლის უშრეტი წყარო. სიტყვა **დედას** წარმოთქმით იწყება ყოველი ადამიანის სიცოცხლე და, ხშირ შემთხვევაში, ამავე სიტყვით მთავრდება.

განვიცადე რა (ადრეულ ბავშვობაში) ომის საშინელებები, მას შემდეგ დღემდე ვარ დარწმუნებული, რომ ჯარისკაცებმა და დედებმა ერთობლივი ძალებით მიაღწიეს ისტორიულ გამარჯვებას. დიახ, დედების ლოცვამ, დედების ვედრებამ,

დედების ცრემლებმა და ღრმა ჭრილობებით დასერილმა გულებმა გადაარჩინეს კაცობრიობა სრულ განადგურებას და ადამიანებს ერთხელ კიდევ მისცეს შანსი მშვიდობიანობისა და სრულფასოვანი აღორძინებისათვის“.

კარგად ახსოვს ამ წიგნის მთავარ გმირს ის ისტორიული დღეები, როდესაც მთელი საბჭოთა კავშირი და დანარჩენი მსოფლიოს დიდი ნაწილი, ერთის მხრივ, დიდი სიხარულით და კიდევ უფრო უკეთესი მომავლის იმედით საზემოდ აღნიშნავდა პროლეტარიატის დიდი ბელადის, ქ. გორიდან აფრენილი არნივის, იოსებ სტალინის დაბადებიდან 70 წლის იუბილეს (1949 წ.), ხოლო მეორეს მხრივ, მწუხარებით, ცრემლის ღვრითა და სასოწარკვეთით განიცდიდა და უიმედობით იყო შეპყრობილი იგივე ბელადის გარდაცვალებისა და დაკრძალვის დღეებში (1953 წ.).

„...მთელი კლასი წავედით „შატალოზე“. სტალინის ე.წ. ქოხთან უამრავი ადამიანი იყო შეკრებილი. ავედით გორის ციხეზე. იქიდან კარგად ჩანდა, თუ როგორ შემოდიოდნენ სტუმრები ქ. გორში თითქმის ყველა მიმართულებიდან. გული სიამაყით მევსებოდა ამდენი სტუმრის ნახვით, ბედნიერი ვიყავი იმით, რომ ვცხოვრობდი და ვცოცხლობდი სტალინის ქალაქში. სამახსოვრო წიგნშიც შევათვალიერეთ ჩანაწერები, ბევრი საინტერესო გამონათქვამებით და წინა-დადებებით თუ სურვილებით იყო ფოლიანტი გადატვირთული; მახსოვს ერთი ჩანაწერი (სამწუხაროდ ავტორის ვინაობა დამავიწყდა): „...ქ. გორი ისეთი ქალაქია, რომ ქუჩები სულ ბროლის უნდა იყოსო...“

იმ სასიხარულო დღეებიდან სრული ოთხი წელიც კი არ იყო გასული, როდესაც მთელი საბჭოთა კავშირი და სოციალისტური ბანაკის ქვეყნები „შეიმოსნენ“ ძარებით. თვ-

ალცრემლიანი ადამიანები დამწუხებულები დააბიჯებდნენ ქუჩებში თუ სამსახურებში. ყველას დაკარგული ჰქონდა შრომისა თუ სწავლის უნარი. როგორც ქალბატონი ნუნუ იხ-სენებს, მთელი ერთი კვირა აღარ ტარდებოდა გაკვეთილები. „...ვისხედით მერხებზე თავდაღუნულები და ვტიროდით. იჯდა მასწავლებელი და ხმას არ იღებდა. არც სიის ამოკითხვა, არც საშინაო დავალების გამოკითხვა და არც ახალი გაკვეთილის ახსნა... ზარიდან ზარამდე ჩუმად ვისხედით... ასე გაგრძელდა მთელი ერთი კვირა და ყოველივე ეს გამოწვეული იყოს იოსებ სტალინის გარდაცვალებით.

საბჭოთა ხალხებთან ერთად პროლეტარიატის ბელა-დის გარდაცვალებას გლოვობდა პროგრესული მსოფლიოს დიდი ნაწილი...“

ცოტა ხნით დავუბრუნდეთ მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობის წლებს და მოვუსმინოთ ქალბატონ ნუნუს მონაყოლს.

„...საყოველთაო გაჭირვებამ და მძიმე ცხოვრების პირობებმა უკიდურესად დაძაბა ადამიანთა ყოფა. ბარათებით მიღებული პური არ იყო საკმარისი და ადამიანების უმრავლესობას აწუხებდა შიშმილის გრძნობა. აღარაფერს ვამბობ სხვა აუცილებელ საკვებ პროდუქტებზე და აუცილებელი პირველადი მოხმარების საგნების საშინელ დეფიციტზე. კარგად მახსოვს, რომ იდგა უკიდურესი გაჭირვების, სიდუხჭირისა და მასშტაბური სილარიბის წლები. ადამიანები საშინელი იმედგაცრუების შეგრძნებით ცხოვრობდნენ, თუ იმას ცხოვრება ერქვა. ბედმა არ გვავმარა საერთო სიძნელეები და თავს დაგვატეხა „ახალი“ უბედურება – პურის ბარათებთან დაკავშირებით მამაჩემი გაება რაღაც ხათაბალაში და დააპატიმრეს. საცოდავ დედაჩემს

დააწვა ოჯახის მთელი სიმძიმე და ისიც დღედაღამ მუხლ-ჩაუხრელად შრომობდა, რათა მე და ჩემს ძმას არ გვეგრძნო შიმშილი. ყიდულობდა ფქვილს, თონეში აცხობდა პურს, ნანილს ყიდდა და ნანილს სახლში მოვიხმარდით. ასე გრძელდებოდა თითქმის ათი წელი. მამაჩემს კი სასჯელი შეუმცირეს (ამუშავებდნენ რკინიგზის მშენებლობაზე. თავი გამოიჩინა კარგი, პროფესიული მუშაობით და შრომის ორგანიზაციით) და დააბრუნეს სახლში. მანამდე კი, მე და დედაჩემი ხშირად დავდიოდით ბორჯომის კოლონიაში მამის სანახავად და მისთვის შეძლებისდაგვარად საკვების მისაწოდებლად. ძალიან გვიჭირდა, მაგრამ რას ვიზამდით. საბრალო დედაჩემი, ვაჟყაცურად უძლებდა შექმნილ მძიმე ვითორებას – გორში ბავშვების აზრდა-პატრონობა და ბორჯომის საპატიმროში გამწესებული პატიმრისათვის სათანადო ყურადღების მიქცევა. როგორც იტყვიან – ადამიანები სატანჯველად არიან გაჩენილიო და ჩვენც ვუძლებდით ყოველივეს მომავალი უკეთესის იმედით. იმ დროს პატიმრის შენახვა დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, თანაც საცხოვრებელი სახლიდან საკმაოდ შორს.

ერთხელ მე და დედაჩემი დილით დავბრუნდით ბორჯომიდან მატარებლით და ფეხით წავედით ჩვენი სახლისკენ, რომელიც მდებარეობდა საბჭოს (ახლანდელი დავით აღმაშენებლის) ქუჩაზე.

ასაკოვან ადამიანებს ახსოვთ, ალბათ, მეორე მსოფლიო ომის წლებში ინფორმაციის მიღების ერთ-ერთი ძირითადი საშუალება გახლდათ რადიომაუწყებლობა. ისიც კარგად გვახსოვს, რომ ქალაქში თუ სოფელში, თავშეყრის ადგილებზე, ბოძებზე ქოლგებივით რეპროდუქტორებიდან როგორ ისმოდა მსოფლიოში ცნობილი იური ლევიტანის სა-

ოცარი ტემბრის ხმა. ჰოდა, ჩვენი სახლის ახლოსმდებარე ბოძზე ჩამოკიდებული „ქოლგა-რადიოს“ ქვეშ ადამიანების დიდი ჯგუფი აღტაცებული ტაშის კვრითა და შეძახილებით გამოხატავდა არნახულ და არგაგონილ ემოციას და სიხა-რულს. ახლაც ჩამესმის ერთ-ერთი თვალებში ცრემლჩამ-დგარი ქალბატონის ხმამაღალი შეძახილები – „ხალხო, გაიხარეთ, გველირსა, დამთავრდა, გავიმარჯვეთ... გიხარო-დენ“. ამ სიტყვებით ხელი დაავლო სამიოდე წლის პატარა შეილს და გაიცა სახლისკენ... გზადაგზა გაიძახოდა – მოხ-უც დედას გავახარებო.

მე და დედაჩემმა ვიკითხეთ, რა ხდებოდა და გავიგეთ, რომ ლევიტანს, თავისი ტანში ჟრუანტელისმომგვრელი ხმით უცნობებია ხალხისთვის მეორე მსოფლიო ომის დამ-თავრება...“

შვება იგრძნო ხალხმა. თითქოს რაღაც უმძიმესი ტვირთი მოგვხსნეს მხრებიდანო, ასეთი იყო შეგრძნება. რამდენიმე დღე ზეიმობდა ხალხი დიდ ისტორიულ გამარჯვებას.

საბჭოთა კავშირში (და არამარტო) და, კერძოდ, საქართ-ველოში იწყებოდა ცხოვრების ახალი ისტორიული ეტაპი, ეტაპი მძლავრი და ყოვლისმომცველი მასშტაბური აღმშენე-ბლობისა.

ამასობაში, ნუნუ ჯიოშვილი განაგრძობდა თავის სასკო-ლო განათლებას და ჩვეული ენერგიით ეუფლებოდა ღირ-სეული პედაგოგების მიერ მინოდებულ პროგრამებს, რაც მომავალში მას აუცილებლად დაეხმარებოდა სასიცოცხლო და საცხოვრისი სწორი ორიენტირების განსაზღვრაში.

ნუნუ ინტერესით ეკიდებოდა და სწავლობდა ყველა სა-განს, თუმცა, მაინც ჰქონდა გამორჩეული დისციპლინები, კერძოდ – ქართული ფოლკლორი, ისტორია და გეოგრაფია.

სკოლაში სწავლის პერიოდში შემოვლილი ჰქონდა თი-თქმის მთელი საქართველო. ცალკეული მოგზაურობისა და სასკოლო ექსკურსიების დროს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა, წერილებითა და ჩანაწერებით, ზოგჯერ ლექსებითაც კი ეხმაურებოდა ისეთ ისტორიულ ადგილებს, როგორიცაა: ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმი (ჩარგალში), აკაკი წერეთლის მშობლიური კუთხე, ილია ჭავჭავაძის ყვარელი და საგურამო, ალ. ჭავჭავაძის წინანდლის სახლ-მუზეუმი და ნაკრძალი კარ-მიდამო, ბაგრატი, გელათი, სათაფლია, ყინწვისი, ვარძია და ა.შ.

საინტერესოა ის გარემოება, რომ მოგვიანებით უკვე თავის შვილებთან ერთად დადიოდა სასკოლო ექსკურსიებზე და განაგრძობდა საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიური თუ გეოგრაფიული სიახლეების გაცნობა-შესწავლას.

მნიშვნელოვანი ეტაპი გახლდათ და თავისებური საკვანძო ტესტი საშუალო სკოლის დამამთავრებელი ეტაპი და კერძოდ კი გამოცდა ქართულ წერაში.

მოსწავლეებს წარუდგინეს სამი თემა. ორი მათგანი წარმოადგენდა ლიტერატურული ჟანრის თემას (შესწავლილი და განვლილი პროგრამებიდან), ხოლო მესამე იყო ე.წ. თავისუფალი თემა სახელწოდებით „ჩვენ მშვიდობა გვინდა“.

ქალბატონი ნუნუ იხსენებს, რომ წერით გამოცდას ეს-წრებოდა განათლების სამინისტროს წარმომადგენელი ბატონი გ. კვაჭაძე. კლასიდან მხოლოდ ნუნუმ აირჩია თავისუფალი თემა და მოახდინა კიდევ გარკვეული სენსაცია. მან დახვენილი ენით და უკვე კარგად შესწავლილი განვლილი მასალის ოპტიმალური შერჩევით და, რაც ყველაზე საინტერესო და მიმზიდველი იყო – შეაზავა საკუთარი ლექსებით და წარუდგინა გამომცდელებს. ნამუშევარმა დაიმსახურა

საოცარი მოწონება და აღტაცება, როგორც იტყვიან – ნაშ-რომი გადადიოდა ხელიდან ხელში.

მოსწავლე ნუნუმ ნაშრომში დაიმსახურა უმაღლესი შეფასება – ხუთიანი.

ნუნუს მიერ შესრულებული ნამუშევარი მთავრდებოდა მისი საკუთარი ლექსის ფრაგმენტით:

„დღეს მშვიდობის პაქტზე,
ხელს რომ აწერს ყველა...
ვერას გვიზამს მტერი,
სტალინი გვყავს მცველად“.

„ზაფხული“

„...თუ კაცსა ცოდნა არა აქვს,
გასტანვავს წუთისოფელი...“
(დ. გურამიშვილი)

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდისათვის დამახასიათებელი გახლდათ ფართომასშტაბიანი აღმშენებლობითი პროცესები მთელი საბჭოთა კავშირის ფარგლებში. ხელისუფლება დიდ ყურადღებას უთმობდა ახალი ტექნოლოგიების დაწერვას, რასაც, ბუნებრივია, სჭირდებოდა მსოფლიო, მეცნიერული დონის შესაბამისი, სწავლა-განათლებისა და პროგრესული მეცნიერების შესაბამისი სისტემების შემუშავება და დანერგვა. სწრაფი ტემპებით იქმნებოდა სასწავლო-სამეცნიერო ცენტრები, შენდებოდა ახალი ქარხნები და ფაბრიკები, ძლიერდებოდა თავდაცვითი სისტემები, ინერგებოდა მეცნიერული მიღწევები და ა.შ. სწავლა-განათლების დონეს ექცეოდა უდიდესი ყურადღე-

ბა, იხვეწებოდა სასწავლო პროგრამები, მასიური ხასიათი ჰქონდა შესაბამისი კვალიფიკაციის ამაღლებას და ა.შ.

შეიძლება გაბეჭდულად ითქვას (კარგად ახსოვთ ხან-დაზმულებს), რომ საშუალო სკოლას რომ ამთავრებდნენ ბავშვები, ისინი უკვე მზად იყვნენ ცხოვრებისათვის. პოდა, ნინამდებარე წიგნის მთავარი გმირიც (გასული საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში) შესაბამისი განათლებითა და ცოდნის დონის შემდგომი ამაღლების დაუოკებელი სურვი-ლით მიადგა უმაღლესი განათლებისკენ მიმავალი მაღალი კიბის პირველ საფეხურებს, თუმცა, ოდნავ შეყოვნდა.

საქმე იმაში გახლდათ, რომ იმ წლებში ხელისუფლებამ ისროლა ლოზუნგი „სიმწიფის ატესტატებით წარმოება-ში“. აბიტურიენტებს მოეთხოვებოდათ წარმოებაში მუშაო-ბის მინიმუმ ორი წლის სტაური და ქალბატონი ნუნუც აღ-მოჩნდა აქტიური შრომითი ცენტრის ფერხულში – გორის



საკონსერვო ქარხანაში (მარცხნიდან მეორე)

უზარმაზარი საკონსერვო ქარხნის სამურაბე საამქროში, მუშის სტატუსით.

უმაღლესი განათლების მიღების საკითხი დროებით გადაიდო. დაიწყო ნუნუ ჯიოშვილის საოცრად საინტერესო და მდიდარი შრომითი ბიოგრაფია (შემდგომი წლები დაადასტურებს ნუნუს ბიოგრაფიის მრავალფეროვნებას, მომხიბვლელობას, ნაყოფიერებას და, რაც ყველაზე მთავარია – მაღალ ლირსებას). თავისი ორიგინალური შინაგანი ბუნების წყალობით, თავისი აქტიურობით, ენერგიითა და ჭკუამახვილობით სულ მაღალ მოექცა საკონსერვო ქარხნის დირექციისა და მრავალრიცხოვანი შრომითი კოლექტივის ყურადღების ცენტრში.

ქალბატონი ნუნუ დიდი სიყვარულითა და პატივისცემით იხსენებს იმ ადამიანებს, რომელთა ხელმძღვანელობით და რომელთა გვერდითაც გაატარა რამდენიმე შრომითი წელი და რომელთაგანაც ბევრი რამ იასწავლა ცხოვრებისეული.

აი, მოკლე ჩამონათვალი იმ ადამიანებისა, რომლებმაც გარკვეული წვლილი შეიტანეს მართლაც რომ საინტერესო და საპატივსაცემო ადამიანის ფორმირებაში: ლევან ხარატ-იშვილი (წარმოების უნიჭიერესი ორგანიზატორი და სპეციალისტი, დირექტორი), მიხეილ მოციქულაშვილი, გიორგი აკოფოვი, დიმიტრი სურამელაშვილი, შალვა კატაპარიაშვილი, სევერიან მიქაია, ნინა ავსაჯანიშვილი და მრავალი სხვა. ქალბატონი ნუნუ განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით საუბრობს უმშვენიერესი ქალბატონის, სამურაბე საამქროს ბრიგადირის, თამარ მაჭარაშვილის შესახებ. ხაზს უსვამს რა მის გარეგნულ მომხიბვლელობას, უქებს გულისხმიერებას და მზრუველობას ახალგაზრდა მუშების მუშაობასა და ყოფაზე.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ნუნუ მალე მოექცა ყურადღების ცენტრშიო და ამის უტყუარი დასტური გახლავთ ის, რომ იგი სწრაფად დააწინაურეს სამსახურის კიბეზე და დანიშნეს ახლადშექმნილი კომკავშირული ბრიგადის ბრიგადირად და არგუმენტაცია გახლდათ ასეთი: შრომისმოყვარე, წესიერი და მოწესრიგებული, აქტიური, საინტერესო სიახლეების წამომწყები, სიცოცხლით სავსე და კომუნიკაბელური. ახლა თუ კიდევ გადავავლებთ თვალს იმ ადამიანების ჩამონა-თვალს (მაშინდელ გორში განათლებით, გამოცდილებით, შრომისადმი სიყვარულით და სიკეთის კეთების სურვილითა და განხორციელებით – საკმაოდ პოპულარული და პატივ-საცემი ადამიანები გახლდნენ), ვისი ხელმძღვანელობითაც და გვერდში დგომით მიმდინარეობდა პროცესები, ძნელი არ იქნება წარმოვიდგინოთ, რომ ნუნუ ჯიოშვილი, რომელიც თავად იყო დაჯილდოებული მაღალი ღირებულებების გენე-ტიკური შესაძლებლობებით – რა მოკლე დროში გახდებო-და ყველასთვის საყვარელი, სასურველი და, რაც მთავარია, სამომავლოდ დიდი იმედების გენერატორი პიროვნება.

მოვლენები განვითარდა სწრაფად. მისმა ბრიგადამ (შედგებოდა თორმეტი ახალგაზრდისაგან. უმრავლესი მათ-განი აგროვებდა სტაჟს უმაღლეს სასწავლებლებში შესასვ-ლელად. ბრიგადაში ჰყავდათ მეცამეტე, სიმბოლური წევრი, პირველი კოსმონავტი იური გაგარინი, რისი წყალობითაც შექმნეს სპეციალური ფონდი ე.წ. კომკავშირული ყულაბა) მალე დაიკავა მოწინავე პოზიციები, რაც რეალური გამო-ძახილი გახლდათ ახალგაზრდა ბრიგადირის, ნუნუს ენერგი-ული და მიზანმიმართული შრომისა. სულ მალე ნუნუ ჯიოშ-ვილის ბიოგრაფია შეივსო ახალი, საინტერესო ფურცლით – იგი აირჩიეს საქართველოს კომკავშირის XXII ყრილობის



**ნუნუ (დღას მარჯვნიდან მეორე)
თავის მოწინავე ბრიგადასთან ერთად**

დელეგატად, კომკავშირის გორის საქალაქო კომიტეტის მდივან ლეილა კიკნაძესა და საფეიქრო კომბინატის მოწინავე მქსოველის ვალენტინა მიხაილოვასთან ერთად.

„ჩემს ცხოვრებაში, ყრილობის მიმდინარეობის ის სამი დღე, იყო უსაზღვრო სიამოვნებისა და ნანახით აღტაცების დღეები. საღამოებს ვატარებდით ფალიაშვილის სახელობის საოპერო და რუსთაველის სახელობის დრამატულ თეატრში, დავათვალიერეთ სხვა ისტორიული ღირსშესანიშნაობები და ეროვნული მუზეუმების შედევრები. თავი სიზმარში მეგონა“, იგონებს წარსულ დღეებს ამაგდარი დედა და ბებია ქალბატონი ნუნუ ჯიოშვილი-სახვაძისა.

სამახსოვრო ყრილობიდან დაბრუნებულმა ნუნუმ ახალი ენერგიით გააგრძელა შრომა თავის სახელოვან ბრიგადას-თან ერთად. წინ ელოდათ ახალ-ახალი წარმატებები. გავიდა რამდენიმე თვე და ნუნუ აირჩიეს ქარხნის კომკავშირული ორგანიზაციის მდივნად.

აფასებდა რა ნუნუს თავგამოდებულ შრომას და კომკა-ვშირულ აქტიურ მოღვაწეობას, ქარხნისა და ქალაქის ხელ-მძღვანელობა არ რჩებოდა ვალში და გზას უკაფავდა მას ახალი სიმაღლეების დასაპყრობად.

სულ მალე ახალგაზრდა და წარმატებული ბრიგადირი მიიღეს კომუნისტური პარტიის რიგებში ჯერ კანდიდატად, ხოლო ერთი წლის შემდეგ წევრად. ნუნუს ბიოგრაფიაში ჩაინტერა კიდევ ერთი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა და ახალგაზრდა გოგონამ ერთი საფეხურით აიწია მაღლა ცხოვრების ურთულეს კიბეზე.

ამასობაში გავიდა თითქმის ხუთი წელი. ნუნუ იზრდებოდა, იწრთობოდა, ყალიბდებოდა. იკვეთებოდა ხასიათის ძირითადი შტრიხები. რაც დრო გადიოდა, მით უფრო ღრმად სწორდებოდა საზოგადოებისა და ყოფის ნიუანსებს, რაც თავის მხრივ ქმნიდა წარმატებული მომავლის გარანტიებს. უზომოდ შეუყვარდა თავისი ბრიგადაც, საამქროც, ქარხანაც და კიდევ ის უამრავი ადამიანი, რომლებთანაც ერთად უწევდა ჭაპანის ზიდვა, მაგრამ...

მკითხველმა შეიძლება იფიქროს, რომ ნუნუ ისე გაერთო პარტიულ-სამეურნეო საქმეებით, დაავიწყდა განათლების პერიპეტიიებით, მაგრამ არა, ნუნუს არ შეუწყვეტია ფიქრი უმაღლესი განათლების მიღების აუცილებლობაზე და ექებდა ყველაზე უფრო ხელსაყრელ მომენტს.

ისიც გაიხსენა ქალბატონმა ნუნუმ, თუ როგორ შესთავა-

ზა მას ქარხნის ხელმძღვანელობამ – სასწავლებლად გაგზავნა (სახელმწიფო ხარჯებით) ქ. ოდესის ტექნილოგიურ ინსტიტუტში სამაცივრო მეურნეობის შესასწავლად და უკვე უკანდაბრუნებულ ინჟინერს მნიშვნელოვანი თანამდებობის დაკავება საკონსერვო ქარხანაში, მაგრამ, როგორც ქალბატონი ნუნუ იხსენებს – იგი მშობლებმა არ გაუშვეს შორეულ ქალაქში.

აი, მაშინ კი გადაწყვიტა ნუნუმ, რომ დადგა შესაფერისი მომენტი; გულისტკივილითა და თვალებზე მომდგარი ცრემლით დაემშვიდობა თავის ძვირფას კოლექტივს და ქარხანას და მიაკითხა გორის, ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტს.

არ გასჭირვებია ნიჭიერ და მონდომებულ ახალგაზრდა ნაბრიგადირალ და უკვე საკმაოდ პრაქტიკაგამოვლილ გოგონას გამოცდების ჩაბარება.

ხუთი საგანი წარმატებით ჩაბარა და გახდა ისტორია-ფილოლოგის ფაულტეტის სტუდენტი.

ნუნუ ჯიოშვილის ცხოვრებაში დაფიქსირდა კიდევ ერთი ისტორიული მომენტი – იგი გახდა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი. ნუნუმ კარგად უწყოდა, რომ ახალ ატ-მოსფეროში და ახალ კოლექტივში სულ სხვა ინტერესები და მოთხოვნები იყო მოსალოდნელი და იგი სულიერადა და ფიზიკურადაც მზადყოფნაში გახლდათ, რათა წარმატებით გაევლო, მართლაც რომ, ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ეტაპი.

ახლა უკვე ნუნუ მოხვდა რადიკალურად განსხვავებულ ატმოსფეროში და ადამიანების თვისობრივად განსხვავებულ გარემოში. თუ საკონსერვო ქარხანაში იყო: ფიზიკური დატვირთვა, ფაცი-ფუცი, ხმაური, ოფლის ღვრა და გადაღ-

ლილობა, საკუთარ გარეგნობაზე ზრუნვისთვის დროის დეფიციტი, შრომაში წარმატებისათვის მაღალი დონის კოლექტიურობის აუცილებლობა და ა.შ. ახალ სიტუაციაში, უნივერსიტეტში, სუფევდა განსხვავებული ატმოსფერო. განათლების ერთ-ერთ წარმატებულ ცენტრში ყოველთვის იყო პრიორიტეტული (და დღესაც ასე): გონიერივი შრომა და დატვირთვა, მშვიდი გარემო (სიწყნარე და სიჩუმე). თეორიული და ნაწილობრივ პრაქტიკული ცოდნის მიღება; მეცნიერების მაღალი დონის პარამეტრებთან ზიარება, ინტელექტუალური მწვერვალების დაპყრობისათვის „ბრძოლა“, ეროვნულ-ისტორიული ღირებულებების ინტენსიურ რეაქტი გაცნობა, მაღალი მეცნიერული დონის მქონე ადამიანებთან დაგომა და გაცნობა, მსოფლიო მეცნიერულ წარმატებთან და ახალ ტექნოლოგიებთან სიახლოვე და გაზიარება და ა.შ.

მოხსენიებულ ორ სიტუაციას შორის საკმაოდ დიდი განსხვავებაა, მაგრამ არა ისეთი, რომ გადაულახავი ბარიერები აღმართულიყო ნუნუს, უკვე სტუდენტის წინაშე. მან თავისი ენერგიულობით, გონიერამახვილობით, მაღალი ხარისხის ცოდნის დაუფლების დაუოკებელი სურვილით და თანდაყოლილი სიმტკიცითა და პრინციპულობით სწრაფად აუღო ალღო შექმნილ სინამდვილეს და სულ მაღე მოექცა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისა და სტუდენტთა მრავალათასიანი კოლექტივის ყურადღების ცენტრში.

ყოველი ადამიანი (ვისაც კი ჰქონია შესაძლებლობა ყოფილიყო სტუდენტი) დიდი სიყვარულითა და საოცარი განცდით იხსენებს სტუდენტურ წლებს და ის პერიოდი მიაჩნია მისი სიცოცხლისა და ცხოვრების საუკეთესო ხანად, პერიოდად, დროდ, ეპოქად“, „ერად“ და ვინ იცის, კიდევ რა საოცნებო რამად.

ქალბატონ ნუნუს უამრავი ტკბილი მოგონება აქვს იმ ძვირფას სტუდენტურ წლებთან დაკავშირებით, რომელთა ფართო გაცნობა სხვა დროისთვის გადავდოთ. ახლა კი მოვუსმინოთ ნუნუს მოკლე ნათქვამს: „...სტუდენტობა შეუდარებელი გრძნობაა; ბევრ რამეს ახლებურად უცქერი და ახლებურად აღიქვამ; თითქოს უცებ გაიზარდე და გამოიცვალე; სხვანაირად იწყებ აზროვნებას; უფრო დახვეწილი და უღერადი ხდება შენი შეხედულება ამათუიმ ცხოვრებისეულ სინამდვილეზე; გეჩვენება, რომ ყველას მოსწონხარ და ყველა მოგწონს; ვიღაც გიყვარს და ვიღაცას უყვარხარ; გჯერა, რომ უფრო მეტად გცემენ პატივს და გაფასებენ, ვიდრე სხვა დროს და სხვაგან. ერთი სიტყვით, ცხოვრების უკიდეგანო და მრავალპროფილიან ფერხულში ხარ ჩართული სრულად“. ასე ამთავრებს ქალბატონი ნუნუ თავის მოსაზრებას სტუდენტობის წლების შესახებ.

ქალბატონი ნუნუ ბედნიერად თვლის თავს იმის გამო, რომ ინსტიტუტის რექტორი იყო განათლებული და ორგანიზაციული ნიჭით უხვად დაჯილდოებული, უდიდესი შინაგანი კულტურისა და მაღალი პატრიოტული სულისკვეთების მატარებელი ბატონი გიორგი ხარაული, რომელიც უყვარდა და პატივს სცემდა მთელი საზოგადოება. მის შესახებ ქმნიდნენ და ყვებოდნენ დითირამბებით უხვად შემკობილ ამბებს.

განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემით იხსენებს ქალბატონი ნუნუ ისტორია-ფილოლოგიური ფაკულტეტის დეკანს ბატონ შოთა ქურდაძეს, რომლის გარდაცვალებაც (2017 წ.) მძიმედ განიცადა. მათ კარგი, მეგობრული ურთიერთობები ჰქონდათ. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგაც ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს და იხსენებდნენ ინსტიტუტში ერთად ყოფნის წლებს.

„ქუჩაში გამაჩერებდა და მომიკითხავდა ხოლმეო“ – ყველა ქალბატონი ნუნუ. ისიც ცნობილია, რომ ბატონი შოთა მუდამ კითხულობდა თავისი სტუდენტების ცხოვრების პირობებს – ვინ სად ცხოვრობდა, ვინ ჰყავდა ოჯახში, რა აინტერესებდათ ყველაზე მეტად, რა წიგნებს კითხულობდნენ, ვისთან მეგობრობდნენ და ა.შ. მტკიცნეულად განიცდიდა, თუ რომელიმე სტუდენტი უსტიპენდიოდ დარჩებოდა. ბატონმა შოთა ქურდაძემ ჯგუფის ხელმძღვანელად, ე.წ. მამასახლისად აირჩია ნუნუ ჯიოშვილი, რომელიც მთელი ხუთი წლის განმავლობაში უმაღლეს დონეზე ართმევდა თავს მეტად საპატიო დავალებას. ჯგუფში ირიცხებოდა 35 სტუდენტი, მათ შორის 10 გოგონა და 25 ვაჟი. ხუთი თუ ექვსი სტუდენტი იყო გორიდან, დანარჩენები საქართვეოს სხვადასხვა რეგიონებიდან.

ქალბატონ ნუნუს მონაცემებით, ჯგუფში ირიცხებოდნენ: ომარ ბრეგვაძე (რაჭა), დურმიშხან აზიკური (მთათუშეთი), ნოდარ ჩიტაძე (ახალციხე), ჯოკია ლიპარტელიანი (სვანეთი), ნუგზარ ხარატიშვილი (ბორჯომი), ანდრუშა კობახიძე (საჩხერე) და სხვები.

დეკანი ცდილობდა და ყველაფერს აკეთებდა მამასახლისთან ერთად, რომ ყველა სტუდენტს სათანადოდ ესწავლა და დაემსახურებინა სტიპენდია, რადგანაც, განსაკუთრებით რაიონებიდან ჩამოსულებს, დიდ შეღავათს აძლევდა სახელმწიფოს მიერ დანიშნული ფულადი, ასე ვთქვათ, ჯილდო, რაც, ხშირ შემთხვევაში, იძლეოდა წარმატებული სწავლის გარანტიებსაც. სტიპენდიის ოდენობა არ იყო დიდი (ბარათაშვილის სახელობის სულ 28 მანეთი) იხსენებს ქალბატონი ნუნუ, მაგრამ უნდა გენახათ განუზომელი სიხარული და აღტაცება თითოეული სტუდენტისა, როცა გაიგებდა,

რომ მას დაენიშნა სტიპენდია. სტუდენტების სიხარულს და გამარჯვებას სრულად იზიარებდნენ უნივერსიტეტის ხელ-მძღვანელი პირები და განსაკუთრებით კი ფაკულტეტის დეკანი და ჯგუფხელი.

მკიოთხველს ვთავაზობ ნუნუ ჯიოშვილის კიდევ ერთ ამონარიდს მისი ჩანაწერებიდან:

„...საგნებს გვასწავლიდნენ ერთმანეთზე უკეთესი პედა-გოგები. სერგი მაკალათია გვიკითხავდა ლექციებს საქართ-ველოს ისტორიაში. ხშირად ანყობდა ექსკურსიებს კახეთში, მცხეთის მიდამოებში და საქართველოს სხვა კუთხეებში. ძალიან აინტერესებდა და ჩვენც შეგვაყვარა გეოლოგიური გათხრები თუ არქეოლოგიური აღმოჩენები, ეკლესია-მონას-ტრები, ძველი წარწერები და სხვა.

კარგად მახსოვს ექსკურსია ატენის ხეობაში, რომელსაც თავად რექტორი, გიორგი ხარაული ხელმძღვანელობდა. ლე-ქტორები და სტუდენტები ფეხით ავედით ატენის სიონის სა-ნახავად და ასევე ფეხით დავტრუნდით გორში. არასდროს დამ-ავინწყდება ის სიამოვნება, რაც მაშინ მივიღე და განვიცადე.

საზღვარგარეთის ლიტერატურაში ლექციებს გვიკითხა-ვდა დახვეწილი გემოვნებისა და მაღალი განათლებულობის დონით გამორჩეული ოთარ ჩხეიძე, რომელსაც ასევე კარ-გად ეხერხებოდა იუმორისტული თხრობა და დიალოგები. ერთხელ, ქუთაისში ექსკურსიის დროს, ტყის პირას გაშ-ლილ სუფრასთან ისე ლამაზად, ისეთი იუმორითა და სიტყ-ვაშეკაზმულობით დაგვალევინა ყველასთვის უცნობი კაცის სადღეგრძელო, რომ აღტაცებაში მოგვიყვანა და ბევრიც გვაცინა. საყვარელი პიროვნება იყო...“

აღსანიშნავია, რომ სტუდენტ ნუნუ ჯიოშვილს ინსტი-ტუტშიც გამოადგა პარტიული მუშაობის ის გამოცდილება,

რაც მიიღო საკონსერვო ქარხანაში მუშაობის დროს. იცოდნენ რა ამის შესახებ ინსტიტუტის ხელმძღვანელებმა და პირადად უმაღლესი სასწავლებლის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ანზორ კაპანაძემ, ნუნუ, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე დანიშნეს ისტორია-ფილოლოგის ფაკულტეტის პარტიული ორგანიზაციის მდივნად.

ქალბატონი ნუნუს ახლობლები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ახალაგზრდა პარტიულმა მუშაკმა თავისი უკვე მდიდარი გამოცდილებისა და თანდაყოლილი აქტიურობის და პრინციპულობის წყალობით ბრწყინვალედ გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას და არაერთხელ დაიმსახურა შექებაც.

ახლა კი მკითხველს უნდა შევთავაზო ლირიკული წიაღსვლა შრომის, პარტიული მუშაობისა და განათლების სფეროდან და პერიპეტიებიდან – უმაღლესი ადამიანური გრძნობების, განცდებისა და უპირველესი ვალდებულებების სფეროსკენ, ანუ ალ. ჭავჭავაძის სიტყვებით აღიარებული ჭეშმარიტებისაკენ:

**„...სიყვარულო, ძალასა შენსა,
ვინ არს, რომე არ ჰმონებდეს?..“**

- და შეუყვარდა,
- და შეიყვარეს,
- და შეიქმნა ახალგაზრდა, თბილი ოჯახი. ნუნუ ჯიოშვილისთვის დადგა ღვთითნაბადი ბედნიერი უამი ქალის უპირველესი მოვალეობის აღსრულებისა:

შვილების მოვლინების და აღზრდის;
ოჯახური სითბოს დამკვიდრების;
ეროვნული ღირებულებების, სტუმართმოყვარეობის ტრადიციებისა და მშვიდობის განმტკიცებისა და დაცვის.



ნუნუ ჯიოშვილი და მისი მეუღლე ვალერიან (ვალიკო) სახვაძე.

როგორც ნუნუს შემდგომი ცხოვრება გვიჩვენებს, მან ყველა ამ წმინდა და სანუკვარ მოვალეობას ბრწყინვალედ გაართვა თავი და ახლა უკვე მოუთმენლად მოელის შვილიშვილების შვილებს.

მანამდე კი ნუნუ ჯიოშვილისა და ვალერიან (ვალიკო) სახვაძის ახალგაზრდა ოჯახში, 1963 წლის 14 იანვარს, დაიბადა პირველი ბიჭი, რომელსაც სახელად თამაზი დაარქვეს.

ამ მომენტისთვის ნუნუს იანვრის სესიებზე ერთი გამოცდალა ჰქონდა ჩასაპარებელი, მაგრამ...

ოთარ ჩხეიძეს მოუკითხავს – ნუნუ რატომ არ მოვიდა გამოცდაზეო... ნუნუს მეგობრებს გარკვეული სიხარულის განცდით უცნობებიათ ოთარისთვის, რომ ბიჭი შეეძინაო...

ოთარ ჩხეიძეს ძალიან გახარებია აღნიშნული ფაქტი და იცოდა რა ნუნუს სიბეჯითის და მონდომების შესახებ, აღ-ტაცებით უთქვამს:

„გაუმარჯოს პატარა ბიჭს, მან ხუთიანი დაიმსახურაო“ და გაუკეთებია შესაბამისი ჩანაწერიც.

ქალბატონი ნუნუ იგონებს: „...გაოგნებული ვიყავი ბატო-ნი ოთარის სიკეთით, ეს დიდი ბედნიერება იყო ჩემთვის და დიდი საჩუქარი. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული“.

სწრაფად გაირბინა სტუდენტობის წლებმა და უკვე დიპლომიანი ნუნუ სამსახურის მოლოდინში იყო.

როგორც წესი, კურსდამთავრებულების დიდი უმრავლე-სობა სამუშაოდ გააგზავნეს მათ ქალაქებში და რაიონებში. ნუნუს ძალიან უნდოდა სამუშაოდ გაენანილებინათ სადმე ხევსურეთში, სვანეთში ან მთათუშეთში, მაგრამ როგორც გორელი და პატარა შვილის დედა, იგი დატოვეს გორში. იმ მომენტისთვის ქ. გორში ე.წ. კომბინატის მიკრორაიონში იხსნებოდა №5 საბავშვო ბაგა-ბაღი და სწორედ იქ მიუჩინეს სამუშაო ადგილი უკვე უმაღლესი განათლების მქონე პედა-გოგს და ახალგაზრდა დედას.

მშვენიერი შეთავაზება გახდდათ. ყველა ინატრებდა ამგ-ვარ კომფორტს – სამსახური საკუთარ ქალაქში და, რაც მთავარია, ნუნუს ეძლეოდა საშუალება სხვა ბავშვებთან ერთად, თავის თვალწინ აღეზარდა პირველი შვილი თამაზი.

1965 წლის 1 სექტემბერს ქალბატონ ნუნუ ჯიოშვილ-სახ-ვაძის ცხოვრებაში გადაიშალა კიდევ ერთი ოქროს ფურცელი და ისიც ჩვეული მონდომებით და ახალი ენერგიით შეუდგა ფრიად საპატიო და განსაკუთრებულად ფაქიზი მოვალეო-ბების შესრულებას, რასაც ბავშვების აღზრდა-განათლება და მათ კეთილდღეობაზე ზრუნვა ჰქვია.

„გემდგომა“

ქ. გორში, ე.ნ. კვერნაქის დასახლებაში მცხოვრები ნუნუ, ამჯერად როგორც №5 ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგი, სამსახურში, ე.ნ. კომბინატის დასახლებაში, მიდიოდა პატარა თამაზისთან ერთად და მთელ დღეს ატარებდა ბავშვების მოვლაში, გართობაში, აღზრდაში და განათლებაში.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ის, რომ არც ახალ სამსახურში მოჰკვდებია ე.ნ. საზოგადოებრივი დატვირთვა – იგი აირჩიეს გორის ბაგა-ბაღების გაერთიანებული პარტიული ორგანიზაციის მდივნად (ეს ფაქტი გახლდათ კიდევ ერთი დადასტურება იმის, რომ იმ წლებში საპასუხისმგებლი თანამდებობებზე ნიშნავდნენ შესაბამისი განათლებისა და გამოცდილების მქონე ადამიანებს და ქალბატონ ნუნუს ხომ არ აკლდა არც ერთი და არც მეორე).

ქალბატონი ნუნუ იხსენებს, რომ მისი სახელფასო ანაზღაურება იყო 70 მანეთი და მიღირდათ იმ ფასად კვერნაქიდან კომბინატში სამსახურში სიარულით (რა დრო ყოფილა?!).

მან, ახალ კოლექტივშიც მალე მოიპოვა ავტორიტეტი და საყოველთაო პატივისცემა თავისი შინაგანი ნიშან-თვისებებისა და საოცარი ენერგიისა და სამართლიანობის წყალობით. იგი მალე გახდა კოლექტივის სული და გული. მკითხველს ვთავაზობ შედარებით ვრცელ ამონარიდს ქალბატონი ნუნუს მონაყოლიდან:

„...ძალიან კარგი კოლექტივი გვყავდა.. მალე დავმეგობრდით მე, ნინო მაისურაძე, ვერიკო მეგრელიშვილი, თამარ დევსურაშვილი, მარიამ უხურგუნაშვილი და სხვები. მალე გავუგეთ ერთმანეთს, მოგვწონდა ერთმანეთი და ერთად

ყოფნით ვიადვილებდით საქმის კეთებას. ერთი ოჯახის წევრებივით ვიყავით. ვცდილობდით, სულ ერთად ვყოფილყავით. ყველაფერი ვიცოდით ერთმანეთის ოჯახების შესახებ. არ ვტოვებდით და ყოველთვის მხიარულ ატმოსფეროში ვიხდიდით ერთმანეთის დაბადების დღეებს. ერთად ვიყავით დახელოვნების კურსებზე (თბილისი, ცხინვალი), სემინარებზე და სხვა მასშტაბურ ღონისძიებებზე. ექსკურსიებზე წასვლა ხომ ჩვენი „ჰობი“ იყო და არ ვუშვებდით ხელიდან შესაძლებლობას ერთხელ კიდევ დავმტკბარიყავით ჩვენი მამულის სილამაზით და ისტორიული ღირებულებებით“.

ქალბატონი ნუნუს საბავშვო ბაღში მუშაობის პირველ წლებში მოხდა არასასიამოვნო ფაქტი, კერძოდ, სამეურნეო საქმიანობაში დაშვებული გადაცდომებისათვის და აღმზრდელ-პედაგოგთა კოლექტივისადმი შეუფერებელი დამოკიდებულების გამო, პარტიული ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, ბაღის დირექტორი გაანთავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან. პარტიის საქალაქო კომიტეტმა შეარჩია ახალი კანდიდატურა – ლამარა ბაზანდარაშვილი.

განაგრძობს ქალბატონი ნუნუ: „...ბედმა გამიღიმა. ლამარა ბაზანდარაშვილი იყო ჩემი თანაკლასელი და, ბუნებრივია, კარგად ვიცნობდი. იგი იყო ჩამოყალიბებული პროფესიონალი, სანიმუშოდ მოწესრიგებული, წყნარი მოსაუბრე, კეთილსინდისიერებით გამორჩეული და მეგობრული ურთიერთობების მოტრფიალე ნებისმიერი კატეგორიის, სტატუსისა თუ რანგის ადამიანებთან. იგი იყო დიდთან დიდი და პატარასთან პატარა“...

ქალბატონი ნუნუს ახლობლების გადმოცემით, ცნობილია, რომ შვებულების, მივლინების ან სხვა რაიმე მიზეზის გამო დირექტორის ადგილზე არყოფნის პერიოდში, მის

მოვალეობას ყოველთვის ასრულებდა ნუნუ ჯიოშვილი-სახ-ვაძისა. სწორედ ასეთ დროს გვევლინებოდა ქალბატონი გაორმაგებული მოწადინებით და ენერგიით. სწორედ ასეთ პერიოდებში გაკეთდა ბევრი მნიშვნელოვანი რამ, რისა კვა-ლი დღესაც ატყვია ამ ტერიტორიას, სადაც თავის დროზე ფუნქციონირებდა საბავშვო ბაგა-ბალი. ნუნუს თაოსნობით სშირად ეწყობოდა ე.წ. შაბათობები; სუფთავდებოდა ბალის შიდა და გარე ტერიტორიები. დაირგო 150 ძირი ხე, ყარა-მან ყარსიმაშვილის (გზების მშენებლობის სამმართველოს მთავარი ინჟინერი) უანგარო დახმარების წყალობით მოას-ფალტდა საკმაოდ დიდი ტერიტორია (დღესაც კარგად გა-მოიყურება), მოწესრიგდა გარე განათება და მრავალი სხვა.

ქ. გორის განათლების განყოფილების მესვეურები კმა-ყოფილები და აღტაცებულები იყვნენ ქალბატონი ნუნუს აქტიურობით, მიზანსწრაფულობით და სიახლეების დანერ-გვისაკენ სწრაფვით და არ იშურებდნენ მისი მისამართით საქებარ სიტყვებს.

საბავშვო ბალში, სადაც ასე ნაყოფიერად მოღვაწეობდა ქალბატონი ნუნუ – ფუნქციონირებდა ექვსი ჯგუფი, მათ შორის, ორი ჯგუფი იყო ბაგის ასაკის, ხოლო ოთხი – ბალის ასაკის (ზოგადად, ბავშვები იყვნენ 1-დან – 6 წლამდე ჩათ-ვლით).

წიგნზე მუშაობის პროცესში, ერთ-ერთი შეხვედრისას, ქალბატონმა ნუნუმ ასეთი სიტყვები წარმოსთქვა:

„...ძნელი და საამაყოა ჩემი პროფესია. ერთდროულად საინტერესოც და საპასუხისმგებლოც. ვინ მოთვლის რამ-დენი ათასი აღმიზრდია და გამიშვია შემდგომი საფეხურე-ბის ასავლელად. ბედნიერი ვარ, რომ ჩემი ადამიანური და პედაგოგიური წვლილი შევიტანე მათ ბიოგრაფიაში. საოცა-

რი შეგრძნება მიპყრობდა ყოველთვის, როდესაც მშობელს მოჰყავდა ბავშვი და განდობდა მის აღზრდას. ძალიან მაღალია პატარა ბავშვის აღმზრდელი-პედაგოგის პასუხისმგებლობის დონე, ძალიან ძვირია ყველა იმ წუთის ფასი, იმ წუთებისა, რომელსაც უძლვნი პატარა ბავშვის აღზრდას. მთელი სიცოცხლის განმავლობაში ვგრძნობდი და ახლაც ვგრძნობ მაღალ პასუხისმგებლობას ჩემი აღზრდილების მიმართ, რომლებიც მრავლად დააბიჯებენ დღევანდელ გორში – უკვე დაქალებულ-დაკაცებულები, ოჯახური და საზოგადოებრივი საქმიანობით დაკავებულები და, ხშირ შემთხვევაში, თავადაც პატარების აღმზრდელები.

ხშირად მესალმებიან ქუჩაში და მაჩერებენ სიტყვებით – „გამარჯობა, ნუნუ მასწავლებელო“. მე მათ ვეღარ ვცნობ და ვეკითხები ხოლმე – „რომელი ხარ!“ როცა გავიგებ გვარსა და სახელს, თითქოს თვალწინ მიდგება ის წუთები, დღეები და წლები, როდესაც მე მქონდა ენით აუწერელი ბედნიერება, როცა მათთან ვიყავი, როცა ერთად ვიყავით.

მართლაც ბედნიერი ქალი ვარ, რომ თითქმის 40 წელი ვიმუშავე ურთულესი, მაგრამ უკეთილშობილესი პროფესიით. ბედნიერი ვარ, რომ ათასობით ბავშვს მოვეფერე, ვასწავლე, აღვზარდე და გზა გავუკაფე სამამულიშვილოდ“.

1970 წლის 3 აგვისტოს ვალერიან (ვალიკო) სახვაძისა და ნუნუ ჯიოშვილის ოჯახში გაჩნდა მეორე ვაჟიშვილი, რომელსაც სახელად დაარქვეს რამაზი.

ბავშვების გაზრდა-პატრონობაში ქალბატონ ნუნუს მხარში ედგნენ, როგორც დედამისი, ქალბატონი ანა, ისე მეუღლე ვალერიანი, რომელსაც სამუშაოზე დროის ისეთი განრიგი მისცეს, რომ სახლში ყოფილიყო მეუღლის სამსახურიდან მოსვლამდე.



ქალბატონი ნუნუ მეუღლესთან და უმცროს ვაჟთან
რამაზთან ერთად.

შშობლები, ერთმანეთის მონაცვლეობით ზრდიდნენ რა-
მაზის და როცა ის სამი წლის გახდა, მიიყვანეს ბაღის უფ-
როს ჯგუფში და აღმზრდელად მიუჩინეს, ნუნუს სიტყვებით
რომ ვთქვა, საოცრად თბილი ქალი, ნინო ზუმბულიძე.

ქალბატონი ნუნუ: „...ძალიან კეთილშობილი და საყვა-
რელი ქალი იყო. რამაზი გამუდმებით მუხლებზე ეჯდა და
ეფერებოდა, რომ არ ეტირა. მიკვირდა თუ გაუთხოვარ
ქალს საიდან ჰქონდა მოჭარბებული სითბოს გაცემის სურ-
ვილი და უნარი...“

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ქალის უპირველესი მოვალეობა და
ღირსების საქმე გახლავთ შვილების მოვლინება და აღზრდა.

რომელ დედას არ უყვარს თავისი შვილები და რომე-
ლი დედა არ გაიმეტებს სიცოცხლესაც კი თავისი შვილების

ბედნიერებისთვის. ისიც კარგად ვიცით, რომ შვილისათვის მისი დედა არის მსოფლიოში ყველაზე ლამაზი, ყველაზე თბილი და ტკბილი ქალი.

მე მეჩვენება, რომ ქალბატონი ნუნუ ცდილობს აქაც პირ-ველობისთვის იბრძოლოს, როცა ამბობს: „...დედა-შვილობის ფენომენი ტკბილიც არის და ზოგჯერ მწარეც. სიტყვები არ მყოფნის, რომ სრულყოფილად და ბოლომდე გავაცნობიერო ეს ურთიერთკავშირი თუ დამოკიდებულება, მაგრამ იმას კი ვიტყვი, რომ ჩემი შვილები არიან ჩემი სიცოცხლის დასაწყისი და ალბათ... შვილებზე უკეთესი არც არავინ მყოლია და არც სხვა რამ მინახავს... ბედნიერი დედა ვარ...“

ამ სიტყვების მოსმენისას თვალებში ჩავცეროდი ქალბატონ ნუნუს და აშკარად შევამჩნიე ქალური სიამაყისა და ბედნიერების ნაპერწკლები.



ნინოს შვილები (მარცხნიდან): თამაზ და რამაზ სახვაძეები.

სამაგიეროდ, არც ღირსეული შვილები რჩებიან ვალში საყვარელი დედების მიმართ. მსოფლიო კულტურის სფერო არაერთ სანიმუშო და მართლაც საამაყო მაგალითს ინახავს იმისას, თუ როგორი სიყვარულითა და სიფაქიზით გამოირჩევიან შვილები.

ქალბატონ ნუნუს, თავისი ხანგრძლივი და საინტერესო ცხოვრების განმავლობაში ბევრი საქები სიტყვა მოუსმენია, ბევრი ჯილდო, სიგელი თუ დიპლომი აულია, უამრავი მისალმება და მილოცვა მოუსმენია, მაგრამ მისთვის ყველაზე ძვირფასი და სანუკვარია შვილებისაგან მოსმენილი სიტყვები და წერილობითი მიმართვები. მრავალი წერილობითი მასალიდან მოვიყვან სულ მცირე ნაწილს:

„ჩემო საყვარელო დედა! სულითა და გულით გილოცავ ამ ბედნიერ დღეს, შენს საყვარელ დღესასწაულს, 10 თებერვალს (ნუნუს დაბ. დღეა. ავტ.). დაე, ეს წელი იყოს შენთვის და შენი ოჯახისათვის სიხარულისა და ბედნიერების მომტანი. ღმერთმა და ბუნების განგებამ დიდხანს გაცოცხლოს შენი ოჯახის წევრებთან ერთად. გისურვებ წარმატებებს სამსახურებრივ საქმიანობაში“.

შენი თამაზი. 1983 წ.

საყვარელ დედას

რვა მარტია, რვა მარტი,
სიხარულით მიძგერს გული,
მსურს, დედიკოს მივულოცო
ლამაზი დღე გაზაფხულის.

ჩემო კარგო დედიკო,
მინდა, გიძლვნა ბარათი,
მოგილოცო ქალთა დღე,
საყვარელი რვა მარტი.

შენი რამაზი. 1984 წ.

როცა ქალბატონი ნუნუს უმცროსი შვილი რამაზი უკვე გახდა სკოლაში შესაყვანი ასაკის, მაშინ მის ჯვეუფში იყო 40 ბავშვი. ქალბატონმა ნუნუმ ყველას საბუთები მიიტანა მე-13 საშუალო სკოლაში (დირექტორი ნანული დარსაველიძე) და მოხდა მართლაც რომ საკვირველი რამ – ყველა მათგანი მოხვდა ერთ კლასში. მას შემდეგ ეს ბავშვები გამოირჩევიან განსაკუთრებული ურთიერთდამოკიდებულებით და მეგობრობით, რომელიც დღესაც გრძელდება.

ქალბატონი ნუნუს ცხოვრებაში დადგა მნიშვნელოვანი მომენტი, როდესაც ორშვილიანი ოჯახისთვის წამოიჭრა საკუთარი ჭერის, ანუ საკუთარი სახლის შეძენის ან აშენების პრობლემა და როგორც ნუნუ ამბობს: „...მე და ჩემი მეულლე ჩვენს ხელფასებს ე.ნ. ლატარიებში ვდებდით და მერე ერთიანად აღებული ფულით ვყიდულობდით საშენ მასალებს, რათა მალე დაგვეწყო სახლის მშენებლობა. ერთი მეზობელი მყავდა სახელად პოლოსა. ძალიან კარგი კაცი იყო. სიყვარულით იცოდა თქმა – „...ნუნუჯან, ათასი მანეთი თუ გაქვს, მიდი, დაიწყე აშენება და დანარჩენი თვითონ მოვარ“.

ნუნუს მამა და მეულლე, მთელი თავისი შესაძლებლობებით, აქტიურად იყვნენ ჩართულები სახლის მშენებლობის პროცესში.

სახლის აშენება ბევრ სიძნელესთან იყო დაკავშირებული, ნაწილ-ნაწილ და ნელ-ნელა კეთდებოდა საქმე; ორი წლის გარჯის შემდეგ, ქალბატონ ნუნუს ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა ახალ, მაგრამ ბოლომდე არმონწყობილ ბინაში. თუმცა, მთავარი უკვე იყო. სრული კეთილმოწყობა მომავალი თვეების საქმე გახლდათ, რაც არ გასჭირვებიათ შრომისმოყვარე ოჯახის ნევრებს.



მტკუიცე და თბილი ოჯახი.
მარცხნიდან: ვაჟიშვილები თამაზი და რამაზი; ქალბატონი ნუნუ
და მისი მეუღლე ვალერიანი (ვალიკო).

მას შემდეგ, რაც საკუთარი ჭერის პრობლემა ასე თუ ისე დამაკმაყოფილებლად მოგვარდა, ქალბატონმა ნუნუმ მთელი თავისი ყურადღება, გამოცდილება და ენერგია მიმართა შვილებისაკენ. მისი ოცნება გახლდათ განათლებული და პატრიოტული სულისკვეთებით შემკული შვილების აღზრდა. განუწყვეტლივ ფიქრობდა მათ სამომავლო ცხოვრებაზე და რაღა თქმა უნდა, მონაგარის მომრავლებაზე.

ჩემთან საუბარში ქალბატონმა ნუნუმ ყელმოლერებულმა მითხრა: „....ვიცი, რომ ბიჭების აღზრდა შედარებით ძნელია, მაგრამ დღეს მე ამაყი ვარ, რომ ძალიან კარგი შვილები აღვზარდე...“

საბავშვო ბაღში ოთხ ათეულ წელზე მეტი იმუშავა და თავისი წილი მადლი უხვად გაიღო ახალი თაობების აღზრდის საშვილიშვილო საქმეში. იგი ისე შეესისხლხორცა საბავშვო ბაღის კოლექტივს, ისე შეიყვარა ბავშვები, რომ სხვაგან, სხვა სამსახურში ვერც კი წარმოედგინა თავი.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ მთელი ამ დროის განმავლობაში იგი იყო პარტიული ორგანიზაციის მდივანი, რაც იმ დროში წარმოადგენდა დიდ საპასუხისმგებლო თანამდებობას, რაც, თავის მხრივ, ითხოვდა გარკვეულ ვალდებულებებსაც.

„....ვერც კი წარმომედგინა ჩემი თავი ამ საბავშვო ბაღის კოლექტივისა და ბავშვების გარეშეო...“ – ხშირად უთქვამს ქალბატონ ნუნუს.

ნუნუს ცხოვრებიდან ბევრი ძნელი და ბევრიც კარგი და სასიხარულო ამბავი შეიძლება გავიხსენოთ. თავად ქალბატონი ნუნუ სიამოვნებით იხსენებს იმ ორკვირიან ვიზიტს, როდესაც ქალაქის ხელმძღვანელობამ ორგანიზაციების მოწინავე პარტორგების ჯგუფი ექსკურსიაზე გააგზავნა



ქალბატონი ნუნუ საბავშვო ბალის აღსაზრდელებთან.

ჩეხოსლოვაკიაში. ეს იყო კარგი მუშაობისათვის ერთგვარი საჩუქარი. იხსენებს ქალბატონი ნუნუ: „...ეს იყო ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი საუკეთესო პერიოდი. მართალია ხანმოკლე, მაგრამ დასამახსოვრებელი. კარლოვი ვარი და პრაღა; ფეშენებელური სასტუმროები და რესტორნები; მუზეუმები და ისტორიული სამონასტრო კომპლექსები; მასპინძლების დახვეწილი და გამორჩეული სტუმართმოყვარეობა; თვალცრემლიანი დამშვიდობება...“

საზოგადოებრივ და პროფესიულ საქმიანობაში მთელი თავისი არსებით ჩართული ნუნუსათვის სწრაფად ჩაირბინა მრავალმა წელმა. როგორც იტყვიან – ამასობაში წამოიზარდნენ და დავაუკაციდნენ ნუნუს ვაჟიშვილები. მალე მათ გაიარეს სავალდებულო სამხედრო სამსახური

(თამაზი მსახურობდა შორეულ აღმოსავლეთში, კერძოდ, ვლადიგოსტოკში), ხოლო რამაზი გერმანიაში, ქალაქ მაგ-დებურში. ქალბატონი ნუნუ დღესაც კი წუხს იმის გამო, რომ ვერ შეძლო ვაჟიშვილების მონახულება შორეულ ადგილებში.

გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს განგებამ მძიმე დარტყმები მიაყენა ნუნუს ოჯახს – ჯერ გარდაიცვალა მისი მამა, ბატონი ივანე ჯიოშვილი (1989 წ.), ხოლო ორმოცი დღის შემდეგ ნუნუს ძმა ბატონი გოგი (60 წლის ასაკში) დაბადების დღის წინა დღეს, 3 მარტს. თურმე, ექიმებს ეხვენებოდა – იქნებ როგორმე ერთი დღეც მაცოცხლოთ, ხვალ დაბადების დღე მაქვსო, მაგრამ...

ჯიოშვილების შრომისმოყვარე და მტკიცედ შეკრულ ოჯახს, თითქმის ერთდროულად, გამოაკლდა ორი მამაკაცი, ორი შრომისმოყვარე პიროვნება, ორი მამა (ნუნუს ძმას გოგის დარჩა ორი შვილი – ამირანი და მალხაზი), ორი პატრიოტი მოქალაქე.

„იმედით ცოცხლობსო ადამიანი“ – ღალადებს ქართული სიბრძნე და ქალბატონი ნუნუც გაათკეცებული ენერგიითა და მისთვის ჩვეული შემართებით აგრძელებს ცხოვრებას. იმედად კი ჰყავს წლების ჭირვარამით გადაღლილი დედა, ქალბატონი ანა და ორი ლომისდარი ვაჟკაცი – რამაზი და თამაზი. ახლა უკვე ოჯახისა და ნუნუს მთელი ყურადღება და ძალისხმევა მიპყრობილი იყო ქალბატონ ანასკენ, რომელმაც ძალიან განიცადა მეუღლისა და შვილის გარდაცვალება. გაუთავებელმა დარდმა და ტირილმა გამოაცალა უკანასკნელი ძალებიც და მიუხედავად ქალბატონი ნუნუს დიდი მცდელობისა, ვერ გადაურჩა ღრმა ინსულტს. წელიწადნახევარზე მეტი იბრძოდა ქალბატონი ნუნუ თავის

ვაუკაცებთან ერთად მის გადასარჩენად, მაგრამ მუხტალ-მა სიკვდილმა არ დაინდო ისინი. ერთხელ კიდევ დაიბუდა ღრმა მწუხარებამ ქალბატონი ნუნუს ოჯახში, იმ ოჯახ-ში, რომლის დიასახლისმაც კარგად იცოდა და იცის დიდი რუსთველის სიტყვების არსი:

**„...ვერ დაიჭირავს სიკვდილსა
გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი...“**

ისიც კარგად მოეხსენება ქალბატონ ნუნუს, რომ სი-ცოცხლე გრძელდება, რომ ადამიანის ამქვეყნად ყოფნის არსი იმაში მდგომარეობს, რომ არ დანებდე და შემართებით იბრძოლო საუკეთესო მომავლისათვის. დიახ, უკვე გამოიკვეთა ქალბატონი ნუნუსთვის საიმედო მომავალი ორი დევგმირი შვილისა და ოთხი ბრწყინვალე შვილიშვილის სახით, რომ აღარაფერი ვთქვა უმშვენიერეს რძლებზე.

ბარაქალა, თქვენს შემართებას, ქალბატონო ნუნუ; დაე, თავბრუ დაგხვეოდეთ უამრავი შვილთაშვილის მოვლინებით.

აქ კი, პატივცემულო მკითხველო, ვამთავრებ ქალბატონი ნუნუს მიერ „შემოდგომად“ (სიმბოლურად) მონათულ ცხოვრების პერიოდის მოკლე აღწერას და შევეცდები, შედარებით ვრცლად წარმოგიდგინოთ, მის მიერვე „ზამთრად“ წოდებული პერიოდი მისი ცხოვრებისა, როდესაც საპენსიო ასაკის გამო (1994 წ.). მიატოვა პროფესიული და საზოგადოებრივი საქმიანობა და მთელი თავისი არსებით ჩაერთო ოჯახის კეთილდღეობისათვის ყოველდღიური გარჯის ურთულეს პროცესში.

„ზამთარი“

პენსიაზე გასვლის შემდეგ ცოტა უცნაურად ეჩვენებოდა ქალბატონ ნუნუს ის, რომ ძალიან ბევრი თავისუფალი დრო აღმოაჩინა თავის ყოველდღიურ ცხოვრებაში – უკან დარჩა პედაგოგ-აღმზრდელისა და პარტიული მუშაკის გადატვირთული სამუშაო რეჟიმი და ამის გამო რამდენიმე თვე უცნაურ სიტუაციაში დანარნარებდა. თუმცა, მალე აულო ალლო შექმნილ ვითარებას და ჩვეულებრივზე სწრაფად მოახდინა ადაპტაცია, ანუ როგორც იტყვიან ხოლმე – სრულად და სრულყოფილად მოერგო დროის დინებისა და საქმიან-ურთიერთობათა ახლებურ ხასიათს.

ნუნუს ცხოვრებაში დადგა ის დრო, როდესაც გაქვს შესაძლებლობა გადახედო განვლილ ცხოვრებას, აწონ-დაწონო და შეფასება მისცე ცალკეულ ეტაპებს და ეპიზოდებს და რაც ყველაზე მთავარია – მოიკითხო, მეტი კონტაქტები დაამყარო და მოეფერო შენს ყოფილ თანაკლასელებს თუ თანაკურსელებს და, რაც შეიძლება, მეტი დრო დაუთმო შვილებსა და შვილიშვილებს.

ქალბატონი ნუნუს მიერ აღზრდილმა ორმა ვაჟკაცმა მართლაც რომ ლამაზი ოჯახები შექმნეს და თავიანთი კაიკაცობით ერთგვარი ჯილდო არგუნეს საყვარელ დედას.

ქალბატონი ნუნუ სამართლიანად ამაყობს თავისი რძლებით ციალა ზასოხაშვილით (დაიბადა ქარელში). დაამთავრა ტექნიკუმის ტექნოლოგიური ფაკულტეტი. მუშაობდა საკონსერვო ქარხანაში. დაამთავრა ასევე არხანგელსკის საექთნო ტექნიკუმი და იქვე მუშაობდა ექთნად ერთ-ერთ სამედიცინო (ცენტრში) და ნინო დონგუზაშვილით (დაიბადა გორში). დაამთავრა პედაგოგიური ინსტიტუტი და მუშაობს

სპეციალობით), რომლებმაც შექმნეს თბილი ოჯახები და ვაჟუაცურად უდგანან მხარში საყვარელ მეუღლეებს.

ახლა სიტყვას ვუთმობ თავად ქალბატონ ნუნუს: „...ხომ გაგიგონიათ ქართული ანდაზა – შვილმა გული გაიარა, შვილიშვილმა გულის გულიო; ასე დამემართა, როცა თამაზის და ციალას შეეძინათ პირველი ვაჟიშვილი ერეკლე. ჩემი რამაზის შემდეგ ჩვენს ოჯახში პატარა ბავშვი არ გვყოლია და, აი, გვეწვია ბედნიერება. ენით აუწერელი სიხარული გვიბოძა განგებამ ერეკლეს დაბადებით. ერთი წლის ერეკლემ ფეხი აიდგა და სულ მალე მშობლები (თამაზი და ციალა) საცხოვრებლად და სამუშაოდ გადავიდნენ ქ. არხანგელსკ-ში. სამსახურიც კარგი აქვთ და ხელფასებიც. ერეკლე მე დამიტოვეს და ჩემთან იზრდებოდა სასკოლო ასაკამდე. წაიყვანეს და არხანგელსკ-ში შეიყვანეს სკოლაში. იქვე დაიბადა მეორე ვაჟიშვილი, რომელსაც თამაზიმ და ციალამ დაარქვეს თორნიკე. ვწუხვარ, რომ მხოლოდ ზაფხულობით ჩამოდიან და შვებულებებს ჩემთან ატარებენ. ერეკლესაც და თორნიკესაც უმაღლესი განათლება აქვთ მიღებული რუსულ სასწავლებლებში. ერეკლე ეკონომისტია, ხოლო თორნიკე



ქალბატონი ნუნუ შვილიშვილ ერეკლესთან.

გინეკოლოგი და მუშაობს იმ სამშობიაროში (არხანგელსკ-ში), სადაც დაიბადა.

ძალიან თბილი და ლამაზი ოჯახი აქვს ჩემს უმცროს ვაჟიშვილს, რამაზის – განაგრძობს თხრობას ქალბატონი ნუნუ. მათ ჰყავთ ორი შვილი – ნიკა (25 წლის) და კახი (20 წლის). ნიკამ დაამთავრა ე.ნ. შავი ზღვის უნივერსიტეტი და იქვე მუშაობს. კახიც იმავე სასწავლებელში სწავლობს და ეუფლება პროგრამისტის სპეციალობას (კახი, პარალელურად, მუშაობს კიდეც). აღსანიშნავია, რომ კახი შესანიშნავი მთამსვლელია და, იმავდროულად, ძალიან უყვარს ნადირობა და თევზაობა. მასარებს, რომ ძალიან უყვარს თავისი ქვეყნის ისტორია. ფეხით აქვს შემოვლილი ხევსურეთი, სვანეთი, რაჭა, სამეგრელო, კახეთი, ცხვარიჭამია, ყაზბეგის მიდამოები და სხვა ისტორიული ღირსშესანიშნაობანი.

თბილისში ცხოვრობენ და მოღვაწეობენ რამაზი და ნინო თავისი შვილებით. თითქმის ყოველ შაბათ-კვირას ჩამოდიან, მეფეერებიან, მარტო არ მტოვებენ“.

გულისტკივილით აღნიშნავს ქალბატონი ნუნუ იმ გარემოებას, რომ თამაზის შვილებმა ერეკლემ და თორნიკემ კარგად არ იციან ქართული: ვასწავლე წერა-კითხვა და იქ დამთავრდა მათი ქართული ცოდნაო, სინანულით ამბობს ქალბატონი ნუნუ. ვწუხვარ, რომ არ იცნობენ „ვეფ-სისტყაოსანს“ და ქართველი კლასიკოსების (ილია, აკაკი, ვაჟა, დავითი და სხვა) ლიტერატურულ შედევრებს. იმასაც განიცდის ქალბატონი ნუნუ, რომ უკვე 30 წელს გადაცილებულები ჯერ არ არიან დაოჯახებულები.

შვილიშვილებიდან ყველას ნიკამ აჯობაო, ამბობს ნუნუ. იგი უკვე ოთხი წელია დაოჯახდა. თავისი ცხოვრება დაუკავშირა მშვენიერ გოგონას მაკო მუხაძეს, რომელიც დაიბადა

და აღიზარდა თამაზ და ეკა მუხაძეების მშვენიერ ოჯახში (ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ მაკოს მამიდები, ქალბატონები ნინელი და თინიკო მუხაძეები, ახლო წარსულში იყვნენ ქალბატონ ნუნუს მეგობრები და ამ ქორწინებამ ისინი უკვე დაანათესავა. მაკოს ჰყავს ერთი ძმა სახელად თენგო). მაკო უცხო ენების სპეციალისტია.

სანამ ნიკა ცოლს შეირთავდა, ქალბატონი ნუნუ (ჩვენი წიგნის მთავარი პერსონაჟი) მასთან იყო, თბილისში, ორი წლის განმავლობაში და მხარში ედგა ისე, როგორც შეეფერება – ღირსეულ ბებიას.

მოვუსმინოთ ისევ ნუნუს: „...თბილისში ნიკასთან ყოფნის თრი წელი დამამახსოვრდა სასიხარულო და საინტერესო ამბებით და მოვლენებით; უქმად არ დამიკარგავს თავისუფალი დრო – ვუცქერდი ტელეგადაცემებს, ვკითხულობდი წიგნებს, ვათვალიერებდი და ვეცნობოდი დედაქალაქის ღირსშესანიშნაობებს. ერთ საღამოს (კალენდარზე 2 მარტი იდგა) უყურე და ვუსმინე სოფიკო ჭიაურელის 75 წლისთავისადმი მიძღვნილ გადაცემას. ასევე იმას, თუ როგორ გადასცეს ოთხ მრავალშვილიან ოჯახს საცხოვრებელი ბინა. სიხარულისა და აღტაცებისაგან ცრემლები მომადგა თვალებზე. ცოტა მოგვიანებით კი, როცა საათის ისრები გადასცდა ღამის თორმეტ საათს და კალენდარზე გამოჩნდა 3 მარტი – თავისი ძლიერი ბანით პაატა ბურჭულაძემ დედის დღე მოგვილოცა საქართველოს ქალებს და მოგვილოდა – მოეფერეთ დედებს, დაუკოცნეთ ხელები. ვწუხვარ, რომ მე აღარ მყავსო დედა.

ემოციებით დაღლილს გვიან ჩამეძინა. ჯერ ისევ ლოგინში ვინექი, როცა უმცროსმა შვილმა, რამაზმა დამირეკა და დედის დღე მომილოცა. ძალიან გამიხარდა. გამიხარდა კი

არა და, ალბათ, სხვა სიტყვა უნდა მოვნახო, რათა ის განც-და აღვწერო, რაც მაშინ მქონდა. მერე ნინომაც მომიღლოცა თავისი მშვიდი და თბილი სიტყვებით. ცოტა ხნის შემდეგ მომიღლოცეს თამაზიმ და ციალამ. დიდებული შვილები და რძლები მყავს. მოგვიანებით შვილიშვილმა ნიკამ უსიტყვოდ მომართვა იების სამი კონა. ველარ დავმალე ჩემი აღტაცება, გადავეზვიე, ვაკოცე და ვუთხარი – „შენ გენაცვალოს ბებო, სამჯერ ჩემი ხნის მოიყარე-მეთქი“ და იების სამი კონა მა-შინვე წყლიან ვაზაში მოვათავსე.

ოჯახის წევრები ყველა მიღლოცავს ხოლმე ყოველ საზეი-მო თუ სადღესასწაულო და საიუბილეო დღეებს, რითაც ძალიან ბედნიერი ვარ. მინდა, რაც შეიძლება დიდხანს ვი-ცოცხლო, რომ მათ ვუცქირო და მათი ჩემდამი ყურადღება დავაფასო...“

ქალბატონი ნუნუ დიდად განიცდის იმ გარემოებას, რომ მეგობრების უმრავლესობა უკვე აღარ არიან ცოცხალთა რიგებში და ველარ ულოცავენ საზეიმო დღეებს, რასაც ყოველთვის დიდი სიამოვნებით აკეთებდნენ. გორში შემორ-ჩა ლია დიდებული და თბილისში კი გალინა გიგოლაშვი-ლი, რომლებსაც არასდროს ავიწყდებათ ქალბატონი ნუნუს მოკითხვა, მიღლოცვები და კეთილი სურვილები. ისინი უკვე იშვიათად ხვდებიან ერთმანეთს და სატელეფონო კავშირე-ბილა დარჩათ ურთიერთგაზიარებისათვის. გალინას ხშირად უთქვამს ნუნუსთვის – „...შენ გმირი დედა ხარ, რომ ასეთი კარგი შვილები ვაზარდეო...“

ქალბატონი ნუნუ იხსენებს თბილისში მცხოვრებ სხვა თანაკლასელებსაც: თინა ქუთელიას, გულო ბალიაშვილს, ნაირა საათაშვილს და სხვა.

წიგნის პირველ ნახევარში გაკვრით შევეხეთ ლექსები-

სადმი ქალბატონი ნუნუს პრიორიტეტულ დამოკიდებულებას და იმის შესახებაც, თუ თავად როგორ წერდა ლექსებს და ხშირად აქვეყნებდა კიდეც.

ამჯერად გვინდა მკითხველს შევთავაზოთ ერთი ლექსი, რომელსაც ნუნუ უკვე ათეული წლებია ინახავს, როგორც ძვირფას საჩუქარს. ლექსი ეკუთვნის ცნობილ ლექტორს ვიქტორ პავლიაშვილს, რომელიც ლექციებს უკითხავდა ქალბატონ ნუნუს და რომელმაც თავისი ლექსების ორი კრებული („ცრემლები“ და „წამია წუთისოფელი“) საჩუქრად გადასცა წარმატებულ სტუდენტს. ქალბატონი ნუნუს ერთ-ერთი საყვარელი ლექსი, მისთვის ასევე საყვარელი ლექტორის ლიტერატურული შემოქმედებიდან:

„ნეტავ ისე წავიდე,
მშვიდად იმქვეყანაში,
არავინ დავიტირო
ჯილაგ-ჩამომავალში.

ნეტავ ყველა მე მჯობდეს
(ქვეყნად) ქართველობაში,
შრომაში, სიმართლეში,
ცუდ საქმეთა გმობაში.

ნეტავ, წატვრა ამდენი,
წატვრად არ დარჩებოდეს,
ყველა ახდებოდეს და
არაფრი ქრებოდეს“.

სანამ ქალბატონი ნუნუს ცხოვრებიდან ერთ ფრიად საინტერესო საკითხს შევეხებოდე, მსურს ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ მისთვის განსაკუთრებული ღირებულებების მატარებელია მარტის თვის 4 და 3 რიცხვები. პირველია მისი ძმის – გოგის დაბადების, ხოლო მეორე გარელია მისი ძმის – გოგის დაბადების, ხოლო მეორე გარ-

დაცვალების დღე, ერთის მხრივ სიყვარული და სიამაყე, მეორეს მხრივ – ცრემლი და ხსოვნა.

ახლა კი დაპირებული სიურპრიზი.

80 წლის ასაკში, 11 თებერვალს ქალბატონმა ნუნუმ გადაწყვიტა (ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემით მოხიბლულმა, რომელშიც საუბარი იყო იმის შესახებ თუ ერთმა კაცმა როგორ გადაწერა დიდი შოთა რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“) თავისი ხელით და მისთვის დამახასათებელი მშვენიერი კალიგრაფიით გადაწერა ისტორიული შედევრი და, როგორც თავად ბრძანებს, დაეტოვებინა სამახსოვროდ შვილებისთვის და მათი შთამომავლებისთვის.

ქალბატონმა ნუნუმ ერთ თვესა და თორმეტ დღეში ორჯერ გადაწერა „ვეფხისტყაოსანი“ და ასე აისრულა სანუკვარი ოცნება. ქალბატონ ნუნუს თავისი ხელით გადაწერილი აქვს ასევე ისტორიული შედევრი „თამარიანი“.

თავის მრავალმხრივ შინაარსიან ცხოვრებაში, იშვიათად, მაგრამ მაინც ჰქონია ქალბატონ ნუნუს მარტოობის დღეები. ასეთი მოკლე პერიოდი ჰქონდა, როცა რამაზი წავიდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში. ნუნუ იმ დროისთვის დარჩა სულ მარტო. ღიმილით იგონებს – „თუ არ გავგიუდებოდი არ მეგონაო“ და ეს მაშინ, როცა იგი პროფესიული და პარტიულ-საზოგადოებრივი საქმიანობით მაქსიმალურად გახლდათ დაკავებული. იფიქრა, იფიქრა და გადაწყვიტა წერილი მიეწერა იმ სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობისთვის, სადაც თავის მამაკაცურ ვალდებულებას ასრულებდა უმცროსი ვაჟიშვილი რამაზი. რამდენიმე სიტყვა იმ წერილიდან: „ძვირფასო უფროსები! გემუდარებით, მაქსიმალურად გაუფრთხილდით ჩემს შვილს, თქვენ გაბარებთ და იმედი მაქვს, არაფერი გაუჭირ-

დება... მე ხომ დედა ვარ...“ და სხვა მსგავსი შეგონებები.

როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი (რამაზის წერილიდან) სამხედრო ნაწილის უფროსობას მთელი ბატალიონი გაუწყვიათ ე.წ. ხაზზე. არავინ იცოდა თუ რაში იყო საქმე. ფიქრობდნენ, რომ, ალბათ, ვიღაცამ რაღაცა დააშავაო და ახლა გაკიცხავენ და შეიძლება მკაცრადაც დასაჯონო. გაისმა უფროსის ძლიერი ხმა – „სახვაძე, ორი ნაბიჯით წინ“ და წაკითხულ იქნა შვილზე უზომოდ შეყვარებული დედის წერილი. რამაზი თავის წერილში იმასაც წერდა, რომ მწყობრის წინ მადლობა მითხრეს საოცარი დედის ყოლის გამო... ძალიან ემოციური იყო ყველაფერიო... რატომ გამანითლეო ამდენი ხალხის წინაშე...

რამაზის წერილმა საოცარი სიმშვიდე მომგვარა, თითქოს ჩემს გვერდით იყო და მეფერებოდა... თითქოს სადღაც გაქრა დროებითი მაგრამ მაინც შემანუებელი მარტობა.

ნუნუ ჯიოშვილი-სახვაძის ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი უკავიათ მეგობრებს და მათთან ურთიერთობას. უამრავი დაქალი და ძვირფასი ახლობელი ჰყავდა ქალბატონ ნუნუს, მაგრამ უამთასვლამ ფოთლებივით შემოაცალა ბევრი მათგანი, რასაც მტკიცნეულად განიცდის ამ წიგნის გმირი, რომელიც პირად საუბრებში თბილი სიტყვებით იგონებს მათ.

სულ რამდენიმე წლის წინ ქალბატონ ნუნუს მიეცა შესაძლებლობა აღედგინა კეთილი ურთიერთობები მამის ბიძაშვილის შვილთან, ციალა ხოჭოლავასთან, რომელთანაც ახლობლობა ჰქონდა ბავშვობაში. ისინი ერთმანეთს შეხვდნენ (მრავალი წლის შემდეგ) ახლობელი ნათესავის დაკრძალვის დროს. რაკი გიპოვე, აღარ დაგკარგავო, უთქვამს ნუნუსთვის ქალბატონ ციალას და შეასრულა სიტყვა.

ერთხელ, ციალასთან სტუმრობისას, ნუნუმ გაიცნო პოეტესა ბიეტა აბშილავა, რომელმაც თავისი ლექსების კრებულიც კი აჩუქა, სახელწოდებით „კოლხი ასულის სე-ვდა“. ქალბატონი ნუნუ დიდი მონინებით და აღტაცებით ამბობს: „....ახლა ბიეტა არა მარტო ციალას, არამედ ჩემი მეგობარიც არისო...“

თბილისში მყოფ ნუნუს ყოველთვის საუკეთესო მასპინძლობას სთავაზობს ქალბატონი ციალა ისე, რომ დაუკინყარია ორივესტვის, ის ნუთები, საათები თუ დღეები. იხსენებს ქალბატონი ნუნუ მრავალ სასიამოვნო ამბავს: ერთად როგორ ესწრებოდნენ საზეიმო შეხვედრებს, როგორ ათვალიერებდნენ მუზეუმებს, ნაპოლეონისადმი მიძღვნილ გამოფენას, მწერლებთან (რეზო ადამია, მაყვალა გონაშვილი, რეზო მიშველაძე, გურამ ცერცვაძე და სხვა) შეხვედრას, მათი სიტყვებით გამოსვლებს, მერე დადიანის ქუჩაზე ერთერთ რესტორანში გემრიელ ქართულ სუფრასთან მოლხენას და ა.შ.

ერთი ასეთი შეხვედრის დროს, ქალბატონმა ბიეტამ, როდესაც გაიგო, რომ ნუნუ ქ. გორიდან იყო, გაიხსენა ის წლები, როცა სწავლობდა გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში; ორიოდე ჭიქის შემდეგ კი მეგობრებს გაანდო თავისი პირველი და უკანასკნელი სიყვარულის შესახებ, იმ სიყვარულის შესახებ, რომელსაც არ ეწერა აღსრულება.

ამბის მოყოლის შემდეგ გაირკვა, რომ ქალბატონი ნუნუ კარგად იცნობდა და მეგობრობდა კიდეც ბიეტას სიყვარულის ადრესატთან, პარალელური კურსის სტუდენტთან, ვახტანგ კედელაშვილთან. როგორც ქალბატონმა ბიეტამ აღნიშნა და გაანდო მეგობრებს, ვახტანგი ისე გარდაიცვალა, რომ არაფერი იცოდა ბიეტას სიყვარულის შესახებ და

იმ ლექსების შესახებ, რომლებიც ბიეტამ მიუძღვნა მას და რომლებსაც ავტორი საიდუმლოდ ინახავდა უცხო თვალისა და სმენისაგან დაფარულად.

ძნალიაო ცალმხრივი სიყვარული, ამბობს ქალბატონი ნუნუ და გულში ბიეტასადმი სიბრალულის გრძნობით გამსჭვალული განიცდის, რომ ვერაფრით ვერ ეხმარება მეგობარს, გარდა იმისა, რომ, როგორც თავად აღნიშნავს: „...მოვისმინე, შევწუხდი და განვიცადე თბილისში მარტოხელად დარჩენილი, უიღბლო ადამიანის მწარე ბედიო...“

კიდევ ერთი საინტერესო მოგონება ქალბატონი ნუნუს ცხოვრებიდან.

„...მე, ციალა და ბიეტა წავედით სამების უმშვენიერეს ტაძარში, სადაც მიმდინარეობდა ზვიად გამსახურდიას დაბადების დღისადმი მიძღნილი საინტერესო ღონისძიება. უამრავი ადამიანი იყო მოსული. ბევრი მათგანი თბილი მისალმებითა და კოცნით შეხვდა ქალბატონ ბიეტას. მქონდა ბედნიერება გამეცნო ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი, ნიჭიერი მჭევრმეტყველი, პოეტი ნანული გულია, რომელმაც თავისი ლექსების კრებულის „ამაღლებულნი ერისთვის“, 300-ზე მეტი ეგზემპლარი საჩუქრად გადასცა დამსწრე საზოგადოებას. ერთი ცალი მეც მაჩუქა ავტორისეული წარწერით – „ქალბატონ ნუნუს ქრისტესმიერი სიყვარულით“. წიგნის ყდაზე გამოსახულნი არიან ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა.

ძალიან ნასიამოვნები დავრჩი იმ დღით, მითუმეტეს, რომ გაიმართა გრანდიოზული კონცერტი, სადაც პატარა ჩოხოსნებმა გულშიჩამწვდომად შეასრულეს ჩემთვის ძვირფასი და ძალიან საყვარელი სიმღერები – „მრავალუამიერი“ და „შავლეგო“.

ქალბატონ ნუნუს ძალიან მოსწონს, ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის საყოველთაოდ ცნობილი სიტყვებით: „თუ გინდა, რომ ამქვეყნიდან ვალმოხდილი წახვიდე, ერთი ხე მაინც უნდა დარგო, ერთი სახლი მაინც უნდა ააშენო, შვილები უნდა გააჩინო და აღზარდო“.

ამ პატარა წიგნის გმირს, ნუნუ ჯიოშვილ-სახვაძეს შეუძლია იამაყოს თავისი ცხოვრებით, რამეთუ მან დიდი გადაჭარბებით შეასრულა თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობანი – ააშენა დიდი სახლი, საბავშვო ბალის ტერიტორიაზე და საკუთარ ეზოში დარგო და ახარა ასობით ხე, შობა და გაზარდა ორი ვაჟკაცი, თავს ევლება შვილიშვილებს, რაშიც ეხმარება ათი მცნების ღრმა რწმენა და ზოდიაქოს (მერწყული) ნიშნის განუყრელი თვისებები, როგორებიცაა: ძალზე მგრძნობიარე და ემოციური, მეოცნებე, ენერგიული, გამბედავი, კაცომოყვარე, მიმზიდველი, გულთან ახლოს რომ მიაქვს სხვისი უბედურება და გაჭირვებულების დასახმარებლად რომ ყველაფერს აკეთებს და ა.შ.

სხვათაშორის, ზოდიაქოს ამ ნიშნით დაიბადნენ მსოფლიოს უდიდესი ადამიანები, როგორებიც იყვნენ – ედისონი, გალილეი, უიულ ვერნი და სხვა.

„...მე ჯერა ისევ მეოცნებე ვარ,
თუმცა, კი ვიცი, უკვე ღამდება,
მაგრამ მამულზე როდესაც ვფიქრობ,
ყველა ტკივილი მე მიამბდება...“

(ბიეტა აბშილავა)

საოცარი სიტყვებია, რომლითაც საზრდოებს ქალბატონი ნუნუ, რაც არ არის გასაკვირი, რადგან სავსებით შეესაბამე-

ბა და სრულ ჰერონიაშია მისი შინაგანი ბუნების არსთან.

ზოდიაქოს ნიშნების ჩამონათვალში, რატომღაც, მეჩვენება, რომ აკლია ერთი შტრიხი და იგი გახლავთ ოპტიმიზმი, რითაც უხვად არის დაჯილდოებული მარად ახალაგზრდული შემართების მატარებელი ქალბატონი ნუნუ. მისი სიტყვებია: „...როგორი წინააღმდეგობაც არ უნდა შეგხვდეს, ხელები არასოდეს ჩამოუშვა; იყავი მუდამ შემართული და ოპტიმიზმით გამსჭვალული; გიყვარდეს მზე და არასდროს შეგიყვარდეს შავი ღრუბლებით მოფენილი ცა“.

„...მზე დღევანდელი გულს მიხარებს
შუქთა მთოველი,
დღევანდელ დღეზე მე სიმღერა
არ მომწყინდება,
მაგრამ, მერწმუნეთ, უფრო მიყვარს
ის მზე, რომელიც
ჩემი სიკვდილის მეორე დღეს
ამობრწყინდება...“


ქალბატონმა ნუნუმ, ჩვენი ერთ-ერთი შეხვედრისა და საინტერესო საუბრის ბოლოში ასეთი სიტყვები წარმოსთქვა: „ნამდვილ ადამიანად უნდა თავად ჩამოყალიბდე, თუ გინდა, რომ გიყვარდეს სხვა ადამიანი; სინდისის გრძნობა უნდა გაგაჩნდეს მოძალებულად, რათა ვერ შესძლო უსინდისო ცხოვრება; უნდა გიყვარდეს მზეც და მობიბინე მწვანე ბალახით მოხატული მშობლიური მინა; უნდა გახარებდეს მამლის აისის მომასწავებელი ყივილი და სასიამოვნო ურუანტელს გგვრიდეს შეყვარებული წყვილის ჭუკჭუკი.



მეგობრები. მარცხნიდან: ციალა ხოსრუაშვილი, ლედი
სუხიტაშვილი, რუსუდან ძაბახიძე, ნუნუ ჯიოშვილი-სახვაძე.



ქალბატონი ნუნუ
საკუთარი ეზოს ყვავილებით.




თამაზ სახვაძე და მისი მეუღლე ციალა ზასოხაშვილი.



თორნიკე და ერეკლე სახვაძეები.




რამაზ სახვაძე მეულლესთან, ნინო დონგუზაშვილთან ერთად.




ნიკა (ნიკოლოზ) სახვაძე და მისი მეულლე მაკო მუხაძე.

კახი რამაზის ძე
სახვაძე.



მცირე განეალოგია



მიმართვები, მილოცვები

ნაყოფიერი და საინტერესო მოვლენებით აღსავსე სიცოცხლის განმავლობაში ქალბატონ ნუნუს მიღებული აქვს (როგორც ოფიციალური, ისე არაოფიციალური ორგანიზაციებისა და პიროვნებებისგან თუ ახლობელ-ნათესავებისაგან) მართლაც რომ უამრავი შექება, სიგელი, ჯილდო, მილოცვა, ზეპირსიტყვიერი მოფერება, ბეჭდვით მედიაში გამოხმაურება და მრავალი სხვა.

წიგნის მოცულობის შეზღუდულობის გამო, გთავაზობთ ახლობელი ადამიანების მიმართვების სულ რამდენიმე ამონაწერს.

...ჩვენო საყვარელო, დეიდა ნუნუ!

გილოცავთ შობა-ახალ წელს; გაიხარეთ და გამრავლდით შენს საყვარელ ოჯახთან ერთად. გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს – სიხარულს და სიყვარულს, ბარაქას და დოვლათს. ძალიან გვიყვარხარ. მადლობა, რომ არსებობთ ასეთი კარგი ადამიანი!

აშშ, გრინვიჩი.

**მაია სრესელი, პიტერ ჰოჯი,
იკა და მაგდა მახარაშვილები**

○ ○ ○

საყვარელო დეიდა ნუნუ!

...გილოცავთ და გისურვებთ ყოველივე კარგს. მიყვარხართ ძალიან. დედაჩემის მეგობარი იყავით და თქვენ ეს დაამტკიცეთ მის სიცოცხლეში. მან ჩემი თავი თქვენ ჩაგაბარათ სიტყვებით – „ჩემი სიკვდილის შემდეგ, შვილე-

ბი არ მიმიტოვო, გაუფრთხილდიო“. თქვენ ყველაფერი შეასრულეთ მაღალი ადამიანური სულისკვეთებით და შესაქები ქალობით.

გეხვევით, გეფერებით და გუოცნით.

თამილა სრესელი

○ ○ ○

დეიდა ნუნუ, თქვენს ხელში დავიბადე და გავიზარდე. კარგად მახსოვს თქვენი და დედაჩემის ახლომეგობრობა. სამწუხაროა, რომ ალარ მყავს. მისდამი დიდი სიყვარული მსურს მთლიანად თქვენსკენ მოვმართო. ძალიან მიყვარხართ. უძვირფასესია ჩემთვს ის დღე, როცა ქუჩაში მხვდებით. თქვენთან მოკლე საუბარიც კი დიდ ენერგიას მმატებს. დედამ თქვენდამი დიდი სიყვარული და პატივისცემა იმით გამოხატა, რომ ერთადერთი ძმისშვილი (ნებული ნანობაშვილი) მოგანათლინათ, რამაც ჩვენს დანათესავებასაც ჩაუყარა საფუძველი, ანუ უფრო დაგვაახლოვა და მტკიცედ დაგვაკავშირა.

დიდხანს იცოცხლეთ, გაიხარეთ, ჯანმრთელად იყავით. თქვენ ისეთი კარგი შვილები გყავთ, რომ შეგიძლიათ თავაწევით და ამაყად იაროთ ამქვეყანაზე.

ასაკის მომატების მიუხედავად, მშვენივრად გამოიყურებით და კვლავ სანიმუშო და მისაბაძ პიროვნებად გვევლინები მომავალი თაობებისათვის.

**მარიკა ტატიშვილი,
მეორე საჯარო სკოლის პედაგოგი**

○ ○ ○

ჩემო ნუნუ!

პირველი კლასიდან ვმეგობრობთ და მიხარია, რომ დღე-საც ერთად ვართ. რა დამავიწყებს ჩემთვის საუბედურო წლებს, როცა ერთი წლის შუალედით ჯერ დედაჩემი გარდაიცვალა, მერე მამაჩემი. მაშინ მე-5 კლასში ვიყავი. დავრჩი იობლად. თქვენი ოჯახის პატივისცემა არასოდეს დამავიწყდება. განსაკუთრებით დეიდა ანა ჩამრჩა მეხსიერებაში. სკოლიდან რომ მოვდიოდით, უკვე მაგიდა ჰქონდა გაშლილ-გამზადებული ჩვენს დასაპურებლად. უსადილოდ სახლში არ გამიშვებდა ხოლმე.

კარგია, რომ თითქმის ყოველ კვირაში ერთხელ მანც ვესაუბრებით ერთმანეთს ტელეფონით. კარგად იცი, რომ სიცოცხლის ნახევარზე მეტი გორში მაქვს გატარებული და იმას მივიჩნევ მშობლიურ ქალაქად, თუმცა, დიდი ხანია ვცხოვრობ თბილისში.

გეხვევი და გკოცნი ჩემო ძვირფასო. იცოცხელე მრავალ-უამიერ!

შენი გალინა (ობოლა) გიგოლაშვილი

საინტერესოა, რომ თანაკურსელ მეგობრებს, ნუნუს და გალინას პყავთ ორ-ორი გაუიშვილი და ორივეს – თამაზი და რამაზი!

○ ○ ○

ქალბატონო ნუნუ! ცხოვრებაში ყოველივე კარგი მინდა გისურვოთ. არ დამავიწყდება თქვენი დიდი ამაგი ჩემზე. ჩვენ ერთად ვმუშაობდით №5 ბაგა-ბაღში. მე რომ თქვენს კოლექტივში შემოვედი, თქვენ მაშინ უკვე 15 წლის მუშაობის გამოცდილება გქონდათ. ჩემთვის ყველაფერი ახალი

იყო და თქვენ მაქსიმალურად ცდილობდით ჩემს დახმარებას, რათა რაც შეიძლება ჩქარა და ხარისხიანად ამეთვისებინა ბალისათვის დამახასიათებელი ნიუანსები. ვცდილობდი თქვენი ყოველი ქმედებისათვის სწრაფად ამელო ალლო და ბავშვების საკეთილდღეოდ გამომეყენებინა. მაოცებდა მშობლებისა და აღმზრდელ-პედაგოგების ერთობლივი შეხვედრების ორგანიზებისა და წარმართვის თქვენებური მეთოდები.

კარგად მახსოვს ის დღე, როდესაც თქვენ ერთდროულად 40 ბავშვი გაუშვით სკოლაში. ყველა ერთ კლასში მოხვდა. ეს ბავშვები (ახლა უკვე საკმაოდ მოზრდილები) დღესაც განაგრძობენ მეგობრობას, რაც უდაოდ თქვენი დიდი დამსახურება გახლავთ.

დიდხანს იცოცხლეთ. მუდამ გახარებული ყოფილიყავით. სულ წარმატებით გევლოთ ქვეყნისა და თქვენი მონაგარის სასახელოდ.

გეხვევით, გკოცნით.

**ლია დიდებელი,
მე-6 ბალის გამგე**

პროლიტი

ბედნიერად ვთვლი ჩემს თავს, რომ ახლოს გავიცანი ქალბატონი ნუნუ. შორიდან ვიცნობდი გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან და უამრავი კარგი ამბავიც მსმენია მისი კაიქალობისა და წარმატებული მოღვაწეობის შესახებ, მაგრამ, როგორც იტყვიან ხოლმე – გაგონილს ნანახი სჯობიაო და ეს მართლაც დამიდასტურა ქალბატონი ნუნუს გაცნობამ და მასთან რამდენჯერმე გასაუბრებამ.

ქალბატონო ნუნუ!

შემართებას, ოპტიმიზმს და მონაგარის სიყვარულს თქვენ ვერავინ გასწავლით. არც მეგობრობაში და ადამიანების სიყვარულში გაქვთ ან გქონიათ ხინჯი, გძულთ სიბნელე და გხიბლავთ ნათელი.


ჯერ კიდევ გრძელი გზა გაქვთ გასავლელი. წინ შვილთაშვილების მთელი ასეული გელით.

სიმხნევეს გისურვებთ, მრავალუამიერ.

ავტორი

სარჩევი

1. წინათქმა	3
2. „გაზაფხულის“ წინ	7
3. „გაზაფხული“	11
4. „ზაფხული“	27
5. „შემოდგომა“	41
6. „ზამთარი“	54
7. მცირე გენეალოგია	70
8. მიმართვები, მილოცვები	71
9. პროლოგი	75



ვახტანგ ჭანკოფაძე დაიბადა ქ. თელავში 1933 წელს. აქვე დაამთავრა ვაჟთა მეორე საშუალო სკოლა ოქროს მედლით.

თბილისის უნივერსიტეტის (მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი) დამთავრების შემდეგ მუშაობდა ქ. გორის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში სხვადასხვა თანამდებობებზე (ლაბორატორიულ მდივნამდე), ასევე რამდნიმე სამრეწველო ორგანიზაციის ხელმძღვანელად.

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, გორის საპატიო მოქალაქე, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, ღირსების მედლის კავალერი, აკაკი წერეთლის პრემიის ლაურეატი. ავტორია ათეულობით სამეცნიერო მრომისა და გამოგონების, ასევე ოთხასამდე პუბლიცისტური წერილის. გამოცემული აქვს 30-ზე მეტი წიგნი ღირებულებულის სხვადასხვა ჟანრში